# ძეგლის მეგობარი

7



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1966

ეროვნული ბიბლიოთეკა



შოთა რუსთაველის პორტრეტი თეკლესეული ხელნაწერიდან

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სერია: „მატერიალური კულტურის ძეგლები“

*

# ძეგლის მეგობარი

კრებული მეშვიდე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გ ა მ ო დ ი ს   ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ   ს ა წ ყ ი ს ე ბ ზ ე

---

**სარედაქციო კოლეგია:** ირაკლი აბაშიძე, შალვა ამირანაშვილი, ანდრია აფაქიძე, ვახტანგ ბერიძე, ლევან გოთუა, ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაქთაქიშვილი, თეიმურაზ კანდელაკი, ირაკლი ზაქარიაშვილი, ნიკო კეცხოველი, ლევან მატარაძე, ზაირა სტურუა (პ/მგ. მდივანი), გიორგი ჩიტაია, გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ლევან ხიმშიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიორგი ჩიტაია
საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

# ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცისქვეშ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით თბილისში, ვაკის პარკისა და კუს ტბის შორის მდებარე ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარა ღია ცისქვეშ მუზეუმს. ჯერ-ჯერობით მუზეუმის დასასახლებლად გამოყოფილი ადგილი 35 ჰექტარია. სადღეისოდ კუთვნილი და შემდეგ მისი მოსამატებელი ტერიტორიის რელიეფი იძლევა შესაძლებლობას საქართველოს სხვადასხვა მხარის „სოფელი“ გაშენდეს მთისა მთაში, ბარისა — ბარში — მიკრო და მაკრო რაიონების მიხედვით ისე, როგორც ეს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისთვისაა დამახასიათებელი. აღნიშნული ასპექტი თავი და თავი პრინციპია ჩვენი მუზეუმის გაშენებისათვის.

სადღეისოდ ჩატარებულია შემდეგი სამუშაოები: შემოღობილია სამუზეუმო ტერიტორიის ნაწილი, აგებულია პავილიონი, ადგილებიდან ჩამოტანილია ზოგიერთი ექსპონატი, ხელთა გვაქვს სამუშაოს დაწყებისათვის საჭირო გეგმის პროექტი, შედგენილი არქიტექტორ ლ. სუმბაძის მიერ, მუშავდება საპერსპექტივო გენერალური გეგმა, გრძელდება გადმოსატანი ძეგლების კარტოტეკის შედგენა,

დაიდგა სიონიდან გადმოტანილი VI საუკუნის ძეგლი და სხვ. სამუზეუმო მშენებლობას ხელმძღვანელობს საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმი — საგანგებოდ ამ საქმისათვის შექმნილი სამეცნიერო საბჭოს მეშვეობით.

თავისთავად ცხადია, ამ დიდსა და საპასუხისმგებლო საქმეს კარგად მოფიქრებული, ჯეროვნად აზომილ-აწონილი გეგმა სჭირდება. მუზეუმის მშენებლობის გენერალური გეგმის პროექტი ფართო საზოგადოებრიობის განხილვის საგანი უნდა გახდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ რაც შეიძლება მეტად გამორიცხოს ნაკლი, არამედ იმიტომაც, რომ სახალხო, საშვილიშვილო საქმე კეთდება. მასში ხალხის უშუალო ქმედითი მონაწილეობა და მხარდაჭერა ამ დიდი წამოწყების წარმატებით დამთავრების საწინდარია.

თბილისში ღია ცის ქვეშ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპების შესახებ ჩვენ მიერ არაერთგზის წაკითხული იყო მოხსენებები, როგორც თბილისში, ასევე ლენინგრადსა და ტარტუში სამეცნიერო სესიებზე. მოხსენებებს ფართო გამოხმაურება მოჰყვა (Советская этнография, 1963 г. Страны и народы Востока, вып. III, Ленинград, 1964).

მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ღია ცისქვეშ მუზეუმში გამოჩნდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ბუნებრივ-გეოგრაფიულ-სამეურნეო არეებში განლაგებული საცხოვრებელი, სამეურნეო და საზოგადოებრივ დანიშნულების ნაგებობანი, მათი შინაგანი მოწყობილობითა და გამართულობით. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მუზეუმის დაგეგმარება ითვალისწინებდეს საქართველოს მიკრო და მაკრო რაიონების ბუნებრივ-სამეურნეო თავისებურებებს, რასაც ვერტიკალური ზონალობა აპირობებს. ამასთან ერთად, რაც არსებითია, არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან ისტორიული ჩარჩოები საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარებისა, რომელიც განსაზღვრავს ხალხის ცხოვრებას, საერთოდ, და კერძოდ დაღს ასვამს მატერიალური კულტურის ძეგლებს და მათ კომპლექსს.

მეორე მხრივ, მატერიალური კულტურის ძეგლების უმრავლესობა, გარდა იმისა, რომ მათ გამოყენებითი და სოციალური ფუნქციები აქვთ, რომლებიც იცვლებიან საზოგადოებრივი განვითარების საფეხურების მიხედვით, — ავლენს ხალხის დიდად მნიშვნელოვან ესთეტიკურ გემოვნებას, მის მხატვრულ აზროვნებას, რაც, ცხადია, უნაკლოდ უნდა აისახოს მუზეუმის ექსპოზიციაში.

ქვემოთ განსაზღვრული იქნება ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის „ღია ცისქვეშ“ მუზეუმის მოწყობის ძირითადი პრინციპები, რომელთა კონკრეტული დასაბუთება ჩვენს დასახელებულ მოხსენებაშია მოცემული.

1. თბილისის „ღია ცისქვეშ“ მუზეუმი უნდა მოეწყოს ვერტიკალურ ზონებად დაყოფილ ტერიტორიაზე მთის, ბარისა და გარდამავალი ზოლის ლანდშაფტებისა და ბუნებრივ-სამეურნეო ტიპების მიხედვით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო არეებისათვის ძირითადი დამახასიათებელი მაჩვენებელია ვერტიკალური ზონალობა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენში დასახლებული პუნქტების სიმაღლეების ამპლიტუდა 10 მეტრიდან 2250 მეტრამდეა ზღვის დონიდან. უკიდურესი სიმაღლის დასახლება უშგულის თემია სვანეთში.

ეს ვითარება კარგად ჰქონდა შემჩნეული ვახუშტი ბაგრატიონს და ამასვე კარგად ასაბუთებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — ივ. ჯავახიშვილი,



სოფ. ჟიბიანი. დავით რატიანის ციხე-სახლი

ვ. კონსტანტინოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. დოკუჩაევი, მ. საბაშვილი, ნ. კეცხოველი, ზ. გულისაშვილი, მ. გეგეშიძე, კერძოდ, აკად. ივ. ჯავახიშვილმა ვახუშტის მონაცემების და სხვა ისტორიული წყაროების მიხედვით დაადგინა შემდეგი ბოტანიკურ-აგრონომიული არეები: თურინჯ-ნარინჯისა, ბრინჯ-ბამბისა, ვენახ-ხილისა, უვენახო-უხილოსა, ბალახ-ყვავილნარისა და საზამთრო საძოვრებისა.



სვანეთი. სოფ. ქაბეში
ფოტო ვ. კონსტანტინოვისა

ამის შესაბამისად ზოგადი მაჩვენებლების საფუძველზე უნდა იქნას გამოყოფილი ერთურთისაგან სამი ძირითადი ზოლი — ბარი, მთა და მთისძირი ანუ ფერდა. ამასთან ერთად უნდა გვახსოვდეს, რომ თითოეულ ზოლს თავის შიგნით მრავალი სახის მიკრო რაიონი გააჩნია.

მართლაც საქართველო დასერილია მრავალი ხეობით, რომელთაგან ერთი ნაწილი სიგრძედისა, ხოლო მეორე განივი მიმართულებით, კავკასიონისა და მცირე კავკასიის ქედების მიმართ არიან განლაგებული და თავისი შიგნით თითოეულ მათგანს თავისი ბარი, თავისი ფერდა და თავისი მთა გააჩნია, ისე, რომ მთავარი დაყოფის ძირითადი მაჩვენებლები მცირე რაიონის (მიკრორაიონის) ფარგლებშიც მჟღავნდება სხვა სპეციფიურ ნიშნებთან ერთად. ამის მაგალითია ერთის მხრივ ოკრიბის მიკრორაიონი დასავლეთ საქართველოში, ხოლო გრემის-ხევი აღმოსავლეთ საქართველოში. ამ მიკრორაიონებზე გაშლილი საუბარია ჩვენს მოხსენებაში.

2. თბილისის ღია ცისქვეშ მუზეუმი ცენტრალური, რესპუბლიკური მასშტაბის მუზეუმია. მასში წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველო მისი ისტორიული პროვინციების ჩათვლით (საინგილო, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, ლაზეთი), ოღონდ ცალკე სექტორების სახით იქნება ნაჩვენები საქართველოს რესპუბლიკაში შემავალი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი.

ცენტრალური ღია ცისქვეშ მუზეუმის არსებობა არ გამორიცხავს ეონო-

გრაფიული ანსამბლების — ნაკრძალებისა და რაიონული ღია ცისქვეშ მუზეუმების არსებობას. რაიონული ღია ცისქვეშ მუზეუმის მოწყობის პრაქტიკა მოგვცა გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა (დირექტორი გ. ელიავა).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ რიგი ეთნოგრაფიული მონუმენტური ძეგლი სასწრაფო დახმარებას საჭიროებს, რათა ისინი დაღუპვას გადავარჩინოთ.

3. სამუზეუმო ობიექტების ორიგინალებისა თუ მათი პირების საკითხი ექსპონირებისათვის პირველის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს. მაკეტის თუ პირის გამოყენება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევაში.

4. გადმოსატანი და მუზეუმში დასადგმელი ობიექტების შერჩევის პრინციპი უნდა ითვალისწინებდეს საგნის აღნაგობას, მის ტექნიკას, დანიშნულებას, ბუნებრივ არეს და ისტორიულ მონაცემებს. უნდა შეირჩეს მთავარი, წამყვანი და ტიპიური. ამ თვალსაზრისით არ კმარა შენობის ნაწილებად დაშლა და ჩამოტანა, საჭიროა ყურადღება მიექცეს იმ გარემოებას, რომ აღდგენილი და ექსპონირებული ძეგლი ისეთივე ეფექტს იძლეოდეს, როგორიც ეს ძეგლისათვის ადგილზე იყო დამახასიათებელი.

დავასახელებ მაგალითს:

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კალოიანი სახლი ისეა შეგუებული ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, რომ დაზღვეულია ბუნების რიგი გარეშე მოვლენებისაგან. ამ შენობის მშრალად ნაგები კედლები ოდნავ ირყევა. ამის მიზეზი ის არის, რომ კედელი შედგება მსხვილი სიგრძივი ბელტებისა („სავალი“) და ჭაჭის („შადაგი“) გარდიგარდმო წყობის მონაცვლეობით. ამგვარად აგებული კედელი ჭექა-ქუხილის, კლდეთა და ზვავთა ხეთქების შედეგად გამოწვეულ ნიადაგის მძაფრ რყევას ადვილად იტანს და შენობას უვნებელს ხდის.

მთიანი ადგილისათვის დამახასიათებელი სახლის ზემოთდასახელებული თავისებურება შემჩნეული ჰქონდა ვახუშტი ბაგრატიონს. ის წერს: „უწყიან (მთიულებმა) ხელოვნებანი... სახლთ შენება, არამედ არღა-რა ხმარობენ ქვითკირსა. გარნა აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ და მრავალსა ერთმანეთსა ზედა და კოშკთა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალსა და კლდე გორიანსაზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვის, რამეთუ არღარა ეკვეთის, გარნა ავიდეს რა კაცი კოშკსა შინა ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ“[1].

ან კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის ბანურ-დარბაზული გვირგვინიანი სახლი, რომლის კედლის ქვითკირით წყობა წყლით ნაგორები თხელი და მოგრძო რიყის ქვებისა და მსხვილი რიყის ქვის რიგთა მონაცვლეობითაა შექმნილი და რომელსაც „ჭაპანური“ ეწოდება.

ასევე დასავლეთ საქართველოს გარდამავალი ზოლის ორსართულიანი „პალატი ოდურით“ — ქვედა, ქვითკირის კედლით ამოგებული პალატი საზამთრო საცხოვრებელია, ხოლო ზედა, ფიცრული კედლით აგებული ოდა — საზაფხულოა. კარგი სააღმშენებლო ქვების სიმდიდრის გამო აქ მაღალ დონეზეა საცხოვრებელი პალატის შიდა და გარე პირის თლილი ქვით მოპირკეთების ტრადიცია, სვეტების, ბუხრებისა და კარ-ფანჯრების კამარების მოჩუქურთმება. აქვეა თლილი ქვის კედლის წყობა — „მუხურით“ (მუხლიანი ქვა შუბლითა და ფეხით,

---

*. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოისა, თბილისი, 1941, გვ. 111.



რომლის შუბლი აპერანგებს კედელს, ხოლო ფეხი დულაბდება კედლის სიგანეში).

5. როგორც ვთქვით, საქართველოში საცხოვრებელი ადგილები სიმაღლეების მიხედვით ერთმანეთისაგან დიდი ამპლიტუდით განისაზღვრება. მაგრამ არა მცირედია თვითეული მოსახლის სამოსახლოს და სასახლის რადიუსი. დასავლეთ საქართველოში თერთმეტი სხვადასხვა სახის ეზო-კარმიდამოს კომპლექსი გვაქვს. მთაშიც, სადაც (ერთი შეხედვით მეტად შემჭიდროებული დასახლებაა წარმოდგენილი, სიმჭიდროვე იმდენად დიდია, რომ ერთი სახლის ბანი მეორეს კარიპანია, აქაც დასახლების ერთეულის არე ფართოა. მთიელს ერთი ბინა საცხოვრებელ სახლში აქვს, სადაც საქონელიც უდგას, მაგრამ ხანგრძლივი ზამთრის პირობებში საქონლის გამოსაკვებად საჭირო მარაგს ერთ ადგილზე ვერ აგროვებს. სათიბეების სიშორის და თივის მარაგის ერთ ადგილზე დაგროვებასთან დაკავშირებული სიძნელეების გამო. ამიტომ ზამთრის მეორე ნაწილში, ან გაზაფხულის პირზე მას საქონელი სხვა ბინაში გადაჰყავს, რომელიც სოფლის გარეთაა აგებული, სადაც საქონლის საკვების მეორე ნაწილია დაგროვებული. ამგვარი სოფლისგარეთ მოთავსებული ბინა მთიელს შეიძლება ორი-სამი ჰქონდეს, საქონლის რაოდენობის მიხედვით.

ასეთ პირობებში მთიელის ოჯახი დროის გარკვეულ მანძილზე ნაწილდება. ერთი ნაწილი ძირითადად სახლში რჩება, ხოლო მეორე საქონელთან ერთად სოფლის გარეთა ბინაში გადადის, ისე, რომ ოჯახის წევრები ერთურთს ეთიშებიან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დასახლების ასეთ ვითარებაში სიზუსტის დაცვა სახლისა და ბინების ჩვენების დროს მანძილის მიხედვით გაძნელდება, რაგინდ დიდი ფართობი არ უნდა ჰქონდეს მუზეუმს თავის განკარგულებაში. სულ სხვაა, როდესაც საჭიროა საზაფხულო ბინების ჩვენება. მაგ.: ხულა-სახლი აჭარლებისა „თაში", რომელიც რამდენიმე ათეული კილომეტრითაა დაცილებული ძირითად „ოხორეს" (მოსახლეს). აქ ის ბუნებრივ არეში მოექცევა და მისი ექსპოზიცია სავსებით გამართული იქნება.

6. ღია ცისქვეშ მუზეუმში ექსპონირებული საცხოვრებელი თუ სამეურნეო-სარეწაო ნაგებობანი ინტერიერით, მისი ინვენტარი და იარაღ-ხელსაწყოები ორიგინალობის მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. მხოლოდ ამ პირობის დაცვით ისინი თავიანთი შთამბეჭდავი ძალით მათთვის დასახულ მიზანს მიაღწევენ და ამავე დროს სამეცნიერო კვლევის ობიექტებიც იქნებიან.

7. არ არის გამორიცხული, რომ ღია ცისქვეშ მუზეუმში ექსპონირებულ საცხოვრებელ სახლებსა და სამეურნეო-სარეწაო ნაგებობებში ცხოვრობდნენ დროდადრო შესაფერის კოსტუმებში გამოწყობილი პირები თუ ხელოსნები, რომელთაგან უკანასკნელნი შეიძლება ამზადებდნენ ხალხურ ხელსაქმის ნიმუშებს მნახველთა შორის გასავრცელებლად. მაგალითად, ხალხურ კერამიკულ ჭურჭელს, მჭედლობის ნიმუშებს, ხისკვეთილობას, ლითონის სამკაულებს და სხვა.

8. თბილისის ღია ცისქვეშ მუზეუმი უნდა იყოს არა მარტო საცავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონუმენტური ძეგლებისა და მათი ინტერიერისა, არამედ, ის უნდა იყოს ამავე დროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც საექსპოზიციო პავილიონში ნაჩვენები იქნება ხალხური ხელოვნების ახალი ნიმუშები, სადაც უნდა იყოს ლექტორიუმი კინო-ეკრანით ლექციების ჩასატარებლად და კინოსურათების საჩვენებლად. აქვე უნდა იყოს სამეცნიერო კაბინეტები სამეცნიერო კვლევის საწარმოებლად. აქვე უნდა ეწყობოდეს ჩვენი და საზღვარ-

გარეთის სახალხო გუნდების გამოსვლები, ისევე როგორც სახალხო დღესასწაულები (მაგალითად, სვანური ლამპრობა, ქართულ-კახური ბერიკაობა, მოხევური დღესასწაული და სხვ.) და ფესტივალები. ასეთი ღონისძიებები შეიძლება ჩატარდეს ვაკის პარკის სტადიონზეც, რომელიც დიდი რაოდენობით მაყურებელს იტევს და რომელიც ღია ცისქვეშ მუზეუმს აკრავს.

9. ჩვენს მიერ ღია ცისქვეშ მუზეუმისათვის დასახული ამოცანები, ისევე როგორც მისი გეგმა, ერთბაშად არ განხორციელდება. ამას ხანგრძლივი დრო და დიდი მუშაობა დასჭირდება. ეს გეგმა პერსპექტიული ხასიათისაა, რომელიც ძირითად სამუშაოებს ითვალისწინებს, თუმც ჩვენ ისიც კარგად ვიცით, რომ ამ ზოგად მონახაზს ზოგი რამ აკლია. ერთი ასეთი ნაკლია ზღვასთან დაკავშირებული ობიექტის წარმოდგენა ჩვენს მუზეუმში. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ რამდენადაც ჩვენი საქმე გაიზრდება, ჩვენ გვექნება საშუალება ჩვენი მუზეუმის ფილიალი გავხსნათ კუს ტბაზე, რომელიც აგრეთვე აკრავს მას, სადაც ნაჩვენები იქნება მეგრული ნავები, ლაზური სანდლები და მეთევზეობასა და ზღვაოსნობასთან დაკავშირებული ნაგებობანიც.

ეს დიდი, ფრიად პასუხსაგები საშვილიშვილო საქმე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნება ერთობლივი დაინტერესება, ერთობლივი ხელისშეწყობა და ფართო საზოგადოების დახმარება. ღია ცისქვეშ მუზეუმის სახით უნდა შეიქმნას ისეთი სამარადისო ძეგლი, რომელიც ქართველი ხალხის კულტურას წარმოაჩენს და ჩვენს დედაქალაქს დაამშვენებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქრ. კასტელის ჩანახატები XVII ს. — საცხოვრებელი ნაგებობები სამეგრელოში
ა) აივნიანი ქორედი სახლი, ბ) ქორედი სახლი, გ) აივნიანი ქორედი სახლი, დ) აივნიან-ჩარდახიანი ქორედი სახლი,
ე) აივნიან-ქორედი სახლი ბუხრით, ვ) თალიანი ქორედი სახლი

ლონგინოზ სუმბაძე
დოცენტი, არქიტექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის პარკ-მუზეუმის გენერალური გეგმის შესახებ

ძეგლის მეგობრის" პირველ კრებულში გამოქვეყნებული პროფ. გ. ჩიტაიას წერილში მოთხრობილია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მნიშვნელობის, მისი სტრუქტურისა და ძირითადი ამოცანების შესახებ. ამ ნარკვევში გვინდა გავაცნოთ მკითხველს დაგეგმარების ძირითადი პრინციპები პარკ-მუზეუმის გენერალური პროექტისა, რომლის შედგენაც ჩვენ გვქონდა მონდობილი. ამჟამად მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საბოლოოდ გაფორმებულია მიწის ნაკვეთი ვაკის პარკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (ზოტისხევის აღმოსავლეთით), შედგენილია ჩვენს მიერ დაგეგმარების გენერალური გეგმის



ხის ოდა-სახლი.

სქემა და პირველი რიგის უბნის დეტალური პროექტი (ჰორიზონტალური დაგეგმარება) სამუზეუმო საბჭოს თავმჯდომარის გ. ჩიტაიას კონსულტაციითა და მონაწილეობით. პროექტის შემდგომი დამუშავება განზრახულია იმ ვარაუდით წარიმართოს, რომ წელსვე, შოთა რუსთაველის იუბილეს დღეებისათვის უზრუნველყოფილი იყოს რამოდენიმე ობიექტის გადმოტანა და აწყობა.

ამჟამად ადგილზე განხორციელებულია პირველ რიგში ასათვისებელი ტერიტორიის შემოღობვა, აგებულია დამხმარე სამეურნეო ფარდული-საწყობი და დამთავრებულია სიონიდან ჩამოტანილი აკლდამის აგება.

მუზეუმის გენერალური გეგმის დაწყებამდე ჩატარებული იყო დიდი სამუშაო მუზეუმის სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულებაშია მის ზონირებასთან.

ბიბლიოთეკა

საქართველო, მიუხედავად ტერიტორიის სიმცირისა ხასიათდება ცალკეული კლიმატურ-გეოგრაფიული რაიონების არაჩვეულებრივი მრავალფეროვნებით, რომელთა წყალობითაც გამომუშავდა ესოდენ დიდი რაოდენობა საცხოვრებელი სახლის ტიპებისა.

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში არ მოიპოვება სხვა ისეთი ქვეყანა, რომლის ტერიტორიაც ასეთი მრავალფეროვანი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, ასე მრავალსახოვანი საცხოვრებელი სახლების ტიპებით ხასიათდებოდეს.

„ძეგლის მეგობრის“ მეორე კრებულში ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი ქართული საცხოვრებელი სახლის ძირითადი ტიპების შესახებ. ესენი არიან: აღმოსავლურ-ქართული მიწურ-ბანიანი სახლი (დარბაზი და მისი სახე-სხვაობანი), დასავლურ-ქართული ისლის ან ყავრის სახურავიანი ხის (ჯარგვალური ან ფიცრული) სახლი, რომლის ყველაზე განვითარებული სახეც ოდა-სახლის სახელითაა ცნობილი და, საქართველოს მთიანეთის 2-3 სართულიანი ციხე-სახლი. ნაგებობათა ეს ძირითადი ტიპები, მათი დაგეგმარება, ხუროთმოძღვრულ-მხატვრული ფორმები საუკუნიდან-საუკუნეში ვითარდებოდნენ, იხვეწებოდნენ და მდიდრდებოდნენ. მეორეს მხრივ ისინი განიცდიდნენ ცვლილებას თვითეული ზონის შიგნითაც, ცალკეული რაიონის ბუნებრივ-კლიმატურ პირობების მიხედვით, სამეურნეო ყოფისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების თავისებურებათა შესაფერისად. ეს ცვლილებები განსაკუთრებით საგრძნობია ჩვენი ქვეყნის მკვეთრი ვერტიკალური ზონირების წყალობით.

ყველაფერი ეს გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა მუზეუმის ტერიტორიის ზონირებისათვის.

ამ ზონიერების საფუძვლად აღებულია საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონების სქემა, მიღებული საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის სახელმძღვანელოებში. ჩვენი მიზნების თავისებურებათა შესაფერისად რაიონთაშორის საზღვრებში შეტანილია ზოგიერთი ცვლილება.

საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები პარკ-მუზეუმში ათ ძირითად ზონად იქნება წარმოდგენილი, რომელთა შორის 5 აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის, აღმოსავლეთ კავკასიონის ჩათვლით და 5 დასავლეთ საქართველოზე — დასავლეთ მთიანეთთან ერთად. ეს ზონებია:

1. *ცენტრალური ზონა*, (შიდა და ქვემო ქართლი), რომელიც მოიცავს თბილისის, რუსთავის, ბორჯომის, ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, წალკისა და თეთრიწყაროს რაიონებს.

2. *აღმოსავლეთის* (შიგნით კახეთი და გარე-კახეთი) შემდეგი რაიონებით: ახმეტის, ყვარელის, ლაგოდეხის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს და საგარეჯოსი.

3. *სამხრეთის* (სამცხე და ჯავახეთი) რაიონებით: ადიგენის, ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის.




| პარკ-მუზეუმის ტერიტორიის ზონინგი | | სახლების რაოდენობა | ფართობი | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ჯამი | |
| I | ცენტრალური (შიდა და ქვემო ქართლი) | 18 | 3,40 | 3,40 | 0,6 |
| II | აღმოსავლეთის (შიგნით- და გარეკახეთი) | 12 | 1,70 | 1,70 | 0,34 |
| III | სამხრეთის (სამცხე და ჯავახეთი) | 15 | 0,63+2,38 | 3,01 | 0,6 |
| IV | აღმოს. მთიანეთის (ხევი, მთიულ., თუშეთ-ფშავი) | 20 | 0,45+1,06+1,0 | 2,51 | |
| V | სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი | 6 | 0,64 | 0,64 | |
| VI | შავი ზღვისპირეთი (კოლხეთი) | 8 | 1,23 | 1,23 | |
| VII | დასავლეთის (რიონისპირეთი) | 10 | 1,71+(0,48) | 2,19 | |
| VIII | აჭარის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკა | 7 | 0,72+0,85 | 1,57 | |
| IX | აფხაზეთის ავტონომიური ს.ს. რესპუბლიკა | 5 | 1,00 | 1,00 | |
| X | დასავლ. მთიანეთის (სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი) | 10 | 1,70+0,63 | 2,33 | |
| XI | ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები | – | 3,10+1,40 | 4,50 | 1,90 |
| XII | გასართ. ზონა (სპორტული და საბავშვო [illegible]) | – | 1,0+1,04+0,66 | 2,76 | 1,42 |
| XIII | ადმინ.-კულტურული ცენტრი [illegible] | – | [illegible] | 3,23 | 0,84 |
| | ჯამი | 106 | | 31,0 | 5,00 |

## ობიექტების ექსპლიკაცია

1. მთავარი შესასვლელი სალაროებით და კიოსკით
2. ადმინისტრ.-სამეცნ. დანიშნულების სათავსები
3. კინო-სალექციო დარბაზი 150 ადგილზე
4. საგამოფენო დარბაზები 400 კვ.მ. სასაწყ. ფართით მუდმივი ექსპოზ. და პერიოდულ გამოფენებისათვის
5. საქართველოს ეთნოგრ. რუკა ეკონომ.-გეოგრ. დარაიონებით.
8. ქართული ხვლები (ფუტკრები).
9. ხევსურული სიპებიანი საყარაული კოშკი.
10. სვანური საყარაულო კოშკი

## ძირითადი მაჩვენებლები

მთლი. ტერიტორია შეადგენს 35 ჰა
აქედან: ზონების ფართი შეადგენს 30 ჰა
(25 პარკისი + 5 უპარკისი).
გზები და მოედნები – 5 ჰა.
ზონების რაოდენობა – 13 აქედან:
ადმინ. საქართვ.-5 (I-V), დასავლეთ საქ.: 5 (VI-X), ისტორ.-არქეოლოგ. ობიექტების (XI), გასართ. ზონა (XII) და ადმინისტრ.-კულტურ. ცენტრი (XIII).

მაშტ. 1:2000

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი

ნახ. ლ. სუმბაძისა

4. ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ   მ ა ღ ა ლ მ თ ი ა ნ ე თ ი.  რომელიც მოიცავს ერწოს, მთიულეთ-გუდამაყარს, მთათუშეთსა და ფშავ-ხევსურეთს. ეს ადგილები ახლა გაერთიანებულია დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის, ნაწილობრივ კი ახმეტის (მთათუშეთი) რაიონებში.

5. ს ა მ ხ რ ე თ-ო ს ე თ ი ს   ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი   ო ლ ქ ი,   ცხინვალის, ზნაურის, ჯავისა და ლენინგორის რაიონებით.

დანარჩენი ხუთი ზონა მოიცავს ლიხთიქეთის რაიონებს. ესენია:

6. შ ა ვ ი   ზ ღ ვ ი ს პ ი რ ე თ ი,  რომელიც მოიცავს ტერიტორიას მდ. რიონის, სუფსისა და ხობის ქვედა დინებაში ე. ი. გურია-სამეგრელოს, მახარაძის ჩოხატაურის, ლანჩხუთის, აბაშის, ცხაკაიას, ხობის, ზუგდიდის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ფოთის რაიონებით.

7. დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს   ზ ო ნ ა   ქიათურის,  წყალტუბოს,  სამტრედიის, წულუკიძის, ვანის, მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის, საჩხერის, ტყიბულის, ცაგერისა და ამბროლაურის რაიონებით.

8. ა ჭ ა რ ი ს   ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი   რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა   რაიონებით: ბათუმის, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოსი.

9. ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს   ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი   რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა,   რომელიც მოიცავს შავი ზღვისპირეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს რაიონებით: სოხუმის, ტყვარჩელის, გაგრის, გუდაუთის, სუხუმის, ოჩამჩირისა და გალისა.

10. დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს   მ ა ღ ა ლ მ თ ი ა ნ ე თ ი — სვანეთი, მთის რაჭა და ლეჩხუმი, მესტიის, ლენტეხისა და ონის რაიონებით.

ეს ზონები პარკ-მუზეუმის გენერალურ გეგმაზე შემდეგნაირადაა განთავსებული: მუზეუმის ტერიტორიის ძირითადი ზემო ნაწილი  ორი მერიდიანალურად მიმართული პატარა ხრამით ორ ნაწილად იყოფა. (იხ. გენგეგმის სქემა). ამ ზოლის აღმოსავლეთით დაპროექტებულია დასავლეთ საქართველოს ხუთივე ზონა, მის მეორე მხარეს კი (დასავლეთით) — დანარჩენი ხუთი ზონა (აღმოსავლეთ საქართველოსი). ასეთი განლაგება ამ ორი ძირითადი სექტორისა ქვეყნის მხარეების მიხედვით გამოწვეულია რელიეფური პირობებით: შედარებით ყველაზედ უფრო ვაკე ადგილი როგორსაც კოლხეთის დაბლობი მოითხოვს, მხოლოდ ამ ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში გვაქვს. ზედა ნაწილი ორივე სექტორისა განკუთვნილია სათანადოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ მაღალმთიანეთის ზონებისათვის.

ამ ძირითადი ტერიტორიული ერთეულების გარდა პარკ-მუზეუმი მოიცავს კიდევ ოთხ ზონას.

11. ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლების ზონას, სადაც განზრახულია აგრეთვე საფლავის ქვებზე შემონახული ქვის კვეთილობის ძვირფასი ნიმუშების გადმოტანა.

12. გამყოფ ზონას (ორ ხრამს შორის), რომელიც განეკუთვნება დამთვალიერებელთა დასვენებას და მოწყობილი იქნება სკამებით, სასმელი წყლის შადრევნებით და სხვა.

13. საადმინისტრაციო-კულტურულ ცენტრს მთავარი მოედნით და

14. კულტურულ-ყოფითი მომსახურეობის ზონას, რომელშიც აგებული იქნება აგრეთვე მცირე ფორმების არქიტექტურულ-სკულპტურული ობიექტები, როგორიცაა: წყაროები, რომლის მრავალფეროვანი საინტერესო ნიმუშებიც დღემ-

დეა შემორჩენილი საქართველოს რაიონებში, სტელები, ქვაჯვარები და სხვა. აქვე უნდა იყოს ექსპონირებული ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი სა-ზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობანი, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იყოს მუზეუმის დამთვალიერებელთა მომსახურეობისათვის.

ამავე ზონაშია გათვალისწინებული დიდი ღია თეატრი-ესტრადის აგება რელიეფის დამრეცი ქანობის გამოყენებით. ეს ზონა, რომელიც მოთავსებულია ქვედა პლატოზე და ძირითად ტერიტორიიდან მისასვლელი სამანქანო გზის სერპანტინებითაა გამოყოფილი — იქნება ვაკის პარკისა და მუზეუმის ძირითადი ტერიტორიის დამაკავშირებელი რგოლი. მისი ათვისება პროექტით უახლოეს წლებში არაა გათვალისწინებული.

პარკ-მუზეუმის მთავარი შესასვლელი დაპროექტებულია ვაკის პარკის ჩრდილო-დასავლეთ შესასვლელიდან ამავალი სამანქანო გზის სერპანტინის (კეცილი გზის, როგორც მას საქართველოში ეძახიან) მესამე მუხლთან.

იგი გაფორმებული იქნება რკინა-ბეტონის საჩრდილობლით, რომლის აქეთ-იქით უნდა მოეწყოს ჯიხურები სალაროებისათვის და სუვენირებისათვის.

შესასვლელი ბაქნის მეორე (ქალაქის) მხარეს მოწყობილი იქნება მანქანების გასაჩერებელი ადგილი და საჩრდილობელი-ბელვედერი დასაჯდომებით: აქედან თვალწინ იშლება თბილისის შესანიშნავი პანორამა. კიბის რამოდენიმე საფეხურის ჩავლის შემდეგ ვხვდებით მუზეუმის მთავარ მოედანზე, რომლის აქეთ-იქით აიგება ადმინისტრაციულ-კულტურული დანიშნულების შენობები: ხელმარცხნივ—მუზეუმის ადმინისტრაციის, მეცნიერ მუშაკების სამუშაო სათავსები და კინო-სალექციო დარბაზი 150 ადგილზე, მარჯვნივ კი საგამოფენო დარბაზი მუდმივი ექსპოზიციისა და პერიოდული გამოფენებისათვის, დაახლოებით 400 კვმ. სასარგებლო ფართით. მოედნის შუა ადგილას, ხელოვნური აუზის ზემო მხარეს, განზრახულია მოთავსდეს საქართველოს ტერიტორიის დიდი, 60—70 კვ მ. ფართობის რელიეფური რუკა. მოედნის ზემო მხარე განკუთვნილია დიდი კაკლის ხეებისათვის, რომელთა ჩრდილშიც მოწყობილი იქნება დასაჯდომი სკამები ექსკურსანტების დასასვენებლად. მის სამხრეთით კი აღიმართება დიდი ფარი მხატვრულად გაფორმებული საქართველოს თვალსაჩინო ეთნოგრაფიული რუკისა მუზეუმში მოცემული ეკონომიურ-გეოგრაფიული დარაიონებით.

პარკ-მუზეუმის ტერიტორიის დაგეგმარებას დიდ სიძნელეებს უქმნის ადგილის რთული რელიეფური პირობები და განსაკუთრებით მისი დიდი ქანობი, რომელიც ზედა მხარეს 30% უდრის. მთავარი შესასვლელიდან პარკ-მუზეუმის სამხრეთ საზღვრამდე ნახევარი კილომეტრის პირდაპირ ხაზზე სიმაღლეთა დონის სხვაობა 110 მეტრს შეადგენს.

პარკ-მუზეუმის შინაგანი გზების დაქანება ისეთი უნდა იყოს, რომ იგი არ აძნელებდეს ტრანსპორტის მოძრაობას. ამისათვის გზის გრძივი ქანობი არ უნდა აღემატებოდეს 7—8%-ს. ამ გარემოებამ გააპირობა გზების ქსელის დაგეგმარება სერპანტინების სახით. გზების დაგეგმარების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს დამთვალიერებელთა მოძრაობის გრაფიკს, რომლის გონივრულად შერჩევასაც ასეთი ვრცელი პარკ-მუზეუმის დაგეგმარებისას პირველხარისხოვანი როლი ენიჭება. როგორც სქემიდან ჩანს, ეს გზები ისეა დაპროექტებული, რომ შეგვიძლია შემოვიაროთ ჯერ ერთი მხარე, მერე მეორე (უკან დაბრუნებისას), ნებისმიერ სიმაღლეზე გადავიდეთ საჭიროების შემთხვევაში ერთი სექტორიდან მეორეში.




ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის პირველი რიგის სამუშაოების პროექტი

ნახ. ლ. სუმბაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზების ასეთი ქსელი ხელსაყრელია აგრეთვე მშენებლობის თანრიგისათვის, რადგან შესაძლებლობას იძლევა დაგეგმარება ნაწილ-ნაწილ განხორციელდეს. ასეთი დაგეგმარებისას, მუზეუმს მშენებლობის ყოველ ეტაპზე დასრულებული სახე ექნება. ცალკეული ზონების ფართობი იმ ანგარიშით არის შერჩეული, რომ თვითეულ კარმიდამოს მიწის ნაკვეთი საშუალოდ უდრიდეს 2.000 კვ. მეტრს — დასავლეთ საქართველოს სექტორში და 1.000 კვ. მეტრს — აღმოსავლეთის სექტორში.

პროექტი ითვალისწინებს მუზეუმის ორივე სექტორში 104 კარმიდამოს განხორციელებას, რომლებშიც დაახლოებით 250 ობიექტი მაინც იქნება აგებული. კარმიდამოთა რაოდენობა სექტორების მიხედვით ასეა წინასწარ განაწილებული: აღმოსავლეთში — 53, 7,5 ჰა საერთო (ნეტო) ფართით; დასავლეთში — 27 (7 ჰექტარი ფართით), მაღალმთიანეთში — 26 (5 ჰექტარი ფართით). კარმიდამოთა საერთო ფართი (ნეტო) შეადგენს 19,5 ჰექტარს, მუზეუმის მთელი ტერიტორიის საერთო ფართი კი 50 ჰექტარს უდრის. შედარებისათვის შეიძლება ითქვას, რომ ბუქარესტის ცნობილი გლეხური ყოფის პარკ-მუზეუმის საერთო ფართობი 8 ჰექტარს არ აღემატება, თუმცა ლატვიისა და ესტონეთის ასეთივე პარკ-მუზეუმები რიგაშიც და ტალინშიც 60 ჰექტარ ფართობზეა ტყე-პარკში გაშენებული. თუ გავითვალისწინებთ სოფლების განაშენიანების ჩვეულებრივ სიმჭიდროვეს და რელიეფის რთულ პირობებს, ჩვენი მუზეუმის ფართობი, სრულიად საკმარისია ქართული ხალხური ხუროთმოძღვრების მრავალფეროვანი ნიმუშების სრული სახით წარმოსადგენად. ჩვენს მომავალ თაობას, თუ ეს საჭირო გახდება, შესაძლებლობა ექნება გააფართოვოს პარკ-მუზეუმის ტერიტორია სამხრეთის მიმართულებით.

როგორც გეგმიდან ჩანს, მისასვლელი გზის მთავარი მონაკვეთის თავსა და ბოლოში გათვალისწინებულია ხევსურული და სვანური საყარაულო კოშკების აგება. მათი ცხოველხატული სილუეტი დაამთავრებს გზის ორი მთავარი მონაკვეთის პერსპექტივს.

პირველი რიგის მშენებლობის პროექტი ითვალისწინებს ტერიტორიის ნაწილის კეთილმოწყობის გარდა (გზების გაყვანა, წყალსადენი, ელექტროგანათება) ათამდე ობიექტის გადმოტანასა და აშენებას — დასავლეთ საქართველოდან (VI — VII ზონაში) და აღმოსავლეთ საქართველოდან (I და III ზონაში). განზრახულია აგრეთვე ზემოხსენებული საყრაულო (საბრძოლო) ციხე-კოშკების აგებაც.

თვითეული ობიექტის გადმოტანისას საჭიროა მისი ადგილზე შესწავლა-დაფიქსირება, დეტალური არქიტექტურული ანაზომის შესრულება, მისთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე შენობის მორგების პროექტის დამუშავება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. ობიექტის ადგილზე დაშლა უნდა მოხდეს მისი ყველა ელემენტის დანომვრის შემდეგ. ადგილზე ობიექტი უნდა ააგოს იმავე ხელოსანმა, რომელმაც დაშალა.

გადმოსატანი ობიექტების შერჩევისას საჭიროა გავითვალისწინოთ მუზეუმის სპეციფიკა: შენობათა შერჩევა უნდა მოხდეს მათი გეგმარებითი სტრუქტურისა და არქიტექტურულ-მხატვრული ღირსებების მიხედვით, მათი შინაგანი მოწყობილობისა კი — ისტორიულ-ეთნოგრაფიული მნიშვნელობის გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე — ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია მუზეუმში ისეთი ობიექტების აგებაც, რომლებიც თუმცა დღეს ნატურაში აღარ არსებობენ, მაგრამ გვაქვს მათი ზუსტი ანაზომები და ფოტოები. დიდი ცოდვა იქნებოდა მაგალითად, რომ ქართლის ზონაში არ აგვეშენებინა ისეთი შესანიშნავი ობიექტი, როგორიცაა

ყარაღაჯის დარბაზი უნიკალური 12-კუთხოვანი ვვირგვინით (რომელიც 32-[illegible] საგან შესდგებოდა და ამგვარად, განხორციელებული იყო 384 ელ[illegible]). ამ დარბაზის ზუსტი ანაზომი (შესრულებული ნ. პ. სევეროვის მიერ) შემონახულია გ. ნ. ჩუბინაშვილის ერთ-ერთ პუბლიკაციაში. მით უმეტეს დასაშვებად უნდა ჩაითვალოს შენობის აღდგენა შემორჩენილი ხის ნაწილების საფუძველზე. რაკი შენობები (და მასში გამოფენილი ექსპონატები მემორიალურ ხასიათს არ ატარებენ, არ არიან დაკავშირებული ცნობილ ისტორიულ პიროვნებათა ცხოვრება-მოღვაწეობასთან), ამიტომ არ უნდა იყოს აუცილებელი მათი ქვითკირის ან აგურის კედლების გადმოტანა, თუ ისინი განსაკუთრებული თლილი ქვისაგან არ არის აშენებული. ყორე-ქვის, ფიქალის, აგურის კედლების და განსაკუთრებით შელესილი კედლების დაშლასა და გადმოტანას არა აქვს არავითარი აზრი: მათი ფაქტურის იმიტაცია შეიძლება განხორციელდეს ისეთივე გარეგნული სახის მქონე მასალების საშუალებით, რომლებიც თბილისის ახლო ადგილებში მოიპოვება. ცხადია, რომ თუ კედელს გააჩნია რაიმე განსაკუთრებული (თლილი, ჩუქურთმიანი ან წარწერიანი) ნაწილი), მისი გადმოტანა აუცილებლად უნდა ჩაითვალოს.

სხვათა შორის ამგვარ პრინციპულ საფუძველზე შენდება პრაღის მუზეუმი ღია ცისქვეშ, სადაც გადაწყვეტილია ფაქტიურად აიგოს ქვითკირის საცხოვრებელ ნაგებობათა მაკეტები ნატურალურ მასშტაბში. ამ მეთოდის კიდევ ერთი დიდი უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ არქიტექტურული ძეგლის „დედანი" ადგილზე რჩება და ინახება მომავალ თაობათათვის ხელუხლებლად. შელესილი კედლების, ანუ უბრალო ქვის წყობით განხორციელებულ ობიექტების ასაგებად ეს წესი ყველაზე გონივრულად უნდა ჩაითვალოს.

აქედან გამომდინარე — დასაშვებად მიგვაჩნია აგრეთვე მუზეუმის ამა თუ იმ კარმიდამოს დაკომპლექტება ობიექტებით, რომლებიც სხვადასხვა კარმიდამოდანაა გადმოტანილი. განსაკუთრებით ეს ეხება შიდა მოწყობილობას (ავეჯს, საფენს, ჭურჭელს და სხვ.). ყველა ეს საკითხი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სპეციალური მსჯელობის საგნად გახდება სამუზეუმო საბჭოსი, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია ჩვენი მხცოვანი მეცნიერი გიორგი ჩიტაია.

ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მშენებლობას წელს უკვე საფუძველი ეყრება. მისი აგებით ჩვენს მომავალ თაობას შეენახება მშენებლობისა და ხელოსნობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ფართო საზოგადოებას საშუალება მიეცემა გაეცნოს საუკუნეების სიღრმეში აღმოცენებულ საბინაო არქიტექტურის ხელთუქმნელ ძეგლებს, ხალხური ოსტატობის შესანიშნავ ნიმუშებს.

სარა ბედუკაძე
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ქვითხუროობის ხალხური მუზეუმი

ქვემო იმერეთის ეკლარის შესანიშნავი საქანდაკო ქვის საბადოების მფლობელი და მამა-პაპითვე დამმუშავებელი სოფელი ჭოგნარი, ნამდვილად ქვის ნახელაობათა ხალხური მუზეუმია.



მიჰყვებით მაღალ და მკვრივად ნაგებ მშრალი წყობის ქვის ზღუდეთა უსასრულო რიგებს სოფ. ჭოგნარის ქუჩებში, შიგნით და გარეთ ბროწეულის მწკრივთა ნარგავებით აყვავებულს და ხედავთ ფართო ჭიშკრებს დამშვენებულს თლილი ქვის მაღალი ჭიშკრის სვეტებით, რომლებზეც ამოკვეთილია მფლობელთა რელიეფური პორტრეტები, მათი საყვარელი საქმიანობის ამსახველი იარაღითა თუ ნივთებით, მსხმოიარე ვაზის, ლომის, ხორბლის და სიმინდის მცენარეთა ჩუქურთმებით. ღვინის სასმისებით გაწყობილი სუფრის და ხელში აღებული ყანწის რელიეფური კვეთილობანი თითქოს სტუმრად გიწვევენ ოჯახში. კითხულობთ სვეტზე „ამოღებულ" მფლობელის ვინაობას და ჭიშკრის აღმართვის თარიღს; მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ჯვრისა თუ ნამგალჩაქუჩის სიმბოლოები, ლომი, ირემი, დათვი, თხა, სანადირო თუ შინაური ძაღლი, ცხენი, მტრედი ან არწივი, მუსიკალური საკრავი თუ სხვაგვარი სიუჟეტის ამსახველი სვეტთა ჩუქურთმები, ჩვენს თვალწინ შლიან ხალხური ქვის ჩუქურთმა-ქანდაკების უსასრულო გალერეას, ხოლო სვეტებზე დადგმული, ან ზედვე გამოკვეთილი სვეტის თავები, ხან დაკიბული პირამიდების, ხან ინდური გუმბათიანი ტაძრების მინიატურულ მოდელებს იმეორებენ, ხან კი ანტიკურ სტილში ნაქანდაკევ ვაზებს წარმოგვიდგენენ.

ზღუდის შიგნით მწვანე კოინდარით აბიბინებულ ფართო ეზოში ასწლოვანი ძელქვებისა და ჭადრების ფონზე თლილი ქვით ნაგები, ან ვარდისფერი ქვის ფილებით მოპირანგებული პალატიანი და ფართო აივნიანი ოდებია წამომდგარი. ქვისავე კარნიზებიან, მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩამჯდარი კარ-ფანჯრით და სუფთად ნათალი ქვის კიბეებით. კედელზეც, როგორც წესი, ამშენებლის კინაობისა და აშენების თარიღის მაუწყებელი ქვის ფილა ჩუქურთმითაა შემკული. პალატისა და აივნის ქვის ბოძებიც მშენებლის გემოვნებისა და მხატვრული მოთხოვნილების ასახვის ფართო არეალადაა გამოყენებული.

ყოველი ეზოს აუცილებელი სამკაულია სუფთად თლილი, ქვის მრგვალი მაგიდა და სასთუმლიანი ან სწორი ტახტი. მაგიდის ფეხზე კი ვაზი, საღვინე დოქი და ყანწი აუცილებლად, ხშირად კი შინაური ცხოველები ან ფრინველებია ამოკვეთილი.

ყველაზედ უფრო აოცებს მნახველს მთლიან ზოდებში გამოკვეთილი უშველებელი ქვის საწნახლები და ყურძნის ჭაჭის საწური მერეტაფა-საქაჯავები, შემკული ვაზისა და მეღვინეობასთან დაკავშირებული იარაღ-ჭურჭლის ამსახველი რელიეფური ჩუქურთმებით. ეს გრანდიოზული ქვის ჭურჭლები ანუ „ქვის საგანძურები“, როგორც ამას ადგილობრივ უწოდებენ, მოწყობილია ვაზის ხეივნით და ასწლოვანი ხეებით დაჩრდილულ ჭურის ტალავრებთან, რომელთაც ასევე ამშვენებს ჭურის თავზე გადასადგმელი თლილი ქვის გვიმები და ბრტყელი სარქველები.




იშვიათად შეხვდებით სხვაგან ისეთი დიდი ზომის, ერთიან ქვაში გამოთლილ, ჭის თავებს, წისქვილის გვიმებს და საცეხვლებს როგორც ჭოგნარში, რომელთა მოჭრის, გადმოტანისა და გამოკვეთისათვის აქ საგანგებო ხერხები, იარაღები და სატრანსპორტო საშუალებანი არის გამოყენებული.

სოფლის პატარა მდინარეზე არქიტექტურული წესისამებრ მოწყობილი, მრგვალად თლილ ქვის ბურჯებზე გადებული, ერთნაჭრიანი ფილაქვის საცალფეხო ხიდებია გატანილი. მათი სიგრძე ზოგჯერ ექვს მეტრს აღწევს, რომ არაფერი ვთქვათ ერთიან ქვის ზოდებში ლამაზად გამოკვეთილ ბანიან თუ ცადაქნილ სასოფლო წყაროს კოშკებსა და ისარნებზე. ულამაზესი ხალხური ჰიდროტექნიკური ნაგებობის ნიმუშებს წარმოადგენენ მდ. ჭიშურაზე მბრუნავი წისქვილები, მდინარის კლდოვან სანაპიროზე გაჭრილი ფართო საწისქვილო არხებით, თლილი ქვის, თაღებგადაყვანილი, მდინარის გადამკეტი, ნამგლისებურიზურგიანი საგუბრებით, რუსხმულებით და ქვის ღარებით. (სამწუხაროდ, კირქვების მარაგის მოპოვების მიზნით ჭიშურის წარმოებას ამგვარ ნაგებობათა რამოდენიმე ნიმუში მთლიანად გაუნადგურებია).

ჭოგნარელ ოსტატთა ქვის მოჩუქურთმების მაღალი ხელოვნება მაქსიმალური მომხიბლაობით მჟღავნდება ნაგებობის შიგნით აღმართული თლილი ქვის ბუხრის პირების მოჩუქურთმებაში და ადგილობრივ თუ მეზობელ სოფლებში დაკვეთით გატანილ საფლავის ქვებზე.

ღარიანი, შიმშიანი, მოხვეული, გრეხილი, წნული თუ ბულაურებით დამშვენებული კარნიზებიანი ბუხრის თავების და ამყოლი სვეტების ლამაზ ჩარჩოს შიგნით აღმართულია თლილი ქვის ბუხრის პირი, რომელზეც ამოკვეთილია ოჯახის ხვავისა და ბედნიერების მიმნიჭებელი რწმენის სიმბოლოები: მზე, მთვარე, ვარსკვლავი, სიცოცხლის ხე, საახალწლო ჩიჩილაკი, მსხმოიარე ვაზი, მანდარინი და ლიმონი, გაშლილი სუფრა სალვინითა და ყანწით და დალოცვის შინაარსის მატარებელი წარწერები: „იხარე ჭერო“, „გამხიარულდი ბუხარო“ და სხვ.

ადგილობრივ სამაროვანზე ხომ თქმა არ უნდა — ყველაფერი ქვის ქანდაკებითაა გადმოცემული: საფლავის ქვის ზედაპირზე ამოზიდულია გაშლილი ტაბლა,

ლანგარზე დაწყობილი ხილეული, ნამცხვარი, თევზეული, სალვინე, ფეხმორთხმული სამსხვერპლო ცხვარი და ადამიანთა გორელიეფები, მათი პროფესიის მე[illegible]ბელი ჩაცმულობითა და საგნებით. აქვე ნახავთ აგრეთვე მთელი კორპუსით [illegible] თულ მამაკაცთა ქვის ქანდაკებებს, მათი დამახასიათებელი ჩაცმულობითა და საომარი იარაღით შეჭურვილს, გაოცებას იწვევს მაღალი, სამრეკლოიანი საფლავის ძეგლების თაღებს შორის ჩამოშვებული ქვის ფარდები, რომელთა წმინდა კვეთილობა ისეთ განცდას ბადებს, თითქოს ქარმა რომ დაუბეროს — რხევას დაიწყებსო. მრგვალად ნაქანდაკევი, ჯვარზე დაფრენილი ფრთაგაშლილი მტრედები, ყვავილთა და ვარდთა გორელიეფები, ხშირად ისეთი რეალობითა და მაღალი ოსტატობითაა გამოკვეთილი, რომ გავიწყდებათ ქვას შეჰყურებთ თუ სინამდვილეს.



ქვემო იმერეთის ხალხური ქვითხუროობის ამ შესანიშნავ ცენტრში არც თუ იშვიათად შეხვდებით ქვის კვეთილობის ისეთ მაღალ დონეზე შესრულებულ ნიმუშებს, რომელთა მიხედვითაც ღირსეული მემკვიდრენი ეძებნებათ გელათის, ბაგრატის თუ ნიკორწმინდის ტაძრების მშენებელ-მეჩუქურთმეებს.

ჭოგნარში ამჟამადაც არიან ტყაჩირას, გეგუთის, ქუთაისის, ეკლარის და სხვა თლილი ქვის ტაძრების ცნობილი ბოლოდროინდელი მშენებლის ეფრემ ბერეკაშვილის მოწაფეები. მაგ., ეფრემის გაზრდილი, ამჟამად 85 წლის ქვითხუროს იპოლიტე კვიმსაძის გადმოცემით „პირველი ცოდნაა გამთლელის და მშენებლისათვის გონიო, სისწორეში ერთი ბანალი რო იყოს, ან ერთი ფრჩხილი განსხვავება, სიგრძეზე ერთ სანტიმეტრს მოგვიტანს. ამიტომაა ბანალი და ფრჩხილი მიღებული ზომაში მძიმე საქმისათვის. გონიოს რო დაუდვა ბანალი, ზედ დაადვა შიმშა და გახედო სინათლის შუქზე გახედვით. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო ნალზე მიყვანილი".

ქვისა და გონიოს ზუსტ დამთხვევას ამოწმებდნენ სინათლის შუქზე გახედვით. დიდი სიფრთხილე იყო საჭირო ხაზების ზუსტად გავლებაზე; ორი ფრჩხილი, ანუ ორი ფანქრის წვერი, მათი ანგარიშით უკვე ერთ მილიმეტრს შეადგენდა, ამიტომაც ხაზს გარეთ ან შიგნით კვეთა იძლეოდა შესამჩნევ სიმრუდეს თლილი ქვით მოპერანგებულ ტაძრის კედელზე. აქედან გასაგები ხდება თუ რატომ ანცვიფრებს მნახველს თავისი სიზუსტითა და ჰარმონიულობით ცადაზიდულ ტაძართა განზომილებანი. როგორც ჩანს, მათი მშენებლებისათვის თითქოს მხატვრული თქმა „ერთი ბეწვი არც მეტი იყოს არც ნაკლებიო — სრულიად რეალურსა და მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხერხს წარმოადგენდა.

ქვის მოჭრის, გამოტეხვის, გადაადგილების, გათლის, თუ მოჩუქურთმების მრავალი საინტერესო და ადგილობრივ, მამა-პაპათა მიერ შემუშავებული საშუალებებისა თუ იარაღების დეტალური აღნუსხვა, აშკარად გვიჩვენებს რომ, ამჟა-

მად ჭოგნარში მოცემულია ძველი ქართული ხალხური ქვითხუროობის ტრადიციების მატარებელი ყველაზე მძლავრი ცენტრი, რომლის ეთნოგრაფიული შესწავლაც ბევრ რამეს ახსნიდა წარსულ საუკუნეებში მოქმედ ქართველ ქვითხუროთა გასაოცრად მაღალი ქვის კვეთის ხელოვნებაზე. მათი ნახელავებიც ამჟამად ბევრგან მხოლოდ უტყუ მოწმეებად და არის შემორჩენილი, როგორც მტრის შემოსევებით საბოლოოდ ამოწყვეტილ-გადაშენებული ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის ოდესღაც აყვავებული კულტურის გადმონაშთი.

დღეს ახალი მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი ეპოქის მაჯისცემა ქვის დამუშავების მძიმე პროცესებშიც მძლავრად შეიჭრა. ჭოგნარელთა ქვის მაღნების ეკლარის უდიდეს საბადოში ქვის მექანიკური ამოხერხვა, გადაზიდვა, დაჭრა და გაშანდაკება გაბატონდა. ქვის ჭიშკრის სვეტები ლითონის სვეტებით იდევნება (საბარგო მანქანების ეზოებში მიმოსვლისას ნაკლები გამძლეობის გამო), ქვის საწნახლები კი მეტწილად იოლად ხელმისაწვდომმა ცემენტის ხსნარზე ნაკეთებმა საწნახლებმა შეცვალა. გრანდიოზული ქვის ბუხრები აღარ უხდება ელექტრონით განათებულ, გაკრიალებული ხის ავეჯით და რადიო-ტელევიზორით მორთულ დარბაზებს, ამიტომ ძველად ნაჩუქურთმევს არღვევენ, ახალს კი აღარ ჰქმნიან, რის გამოც ეს ნახელაობანი უკვე წარსულის გადმონაშთად იქცა.

ჭოგნარელი ქვითხურონი ამჟამად ვარდისფერი თუ თეთრი ფილებით მოპერანგებულ, ქვის ჩარჩოიანი კარ-ფანჯრით შემკობილ, ახალი ტიპის ნაგებობათა შენებაზე ამჟღავნებენ ქვის დამუშავების ტრადიციულ ხელოვნებას, საფლავის ქვებადაც სრულიად განსხვავებულ ბრტყელ სტელებს აჩუქურთმებენ, ასე რომ, ქვის ჭიშკრის სვეტები, ბუხრები, საწნახლები თუ სხვა ამგვარი ტრადიციული ნახელაობანი უკვე ისტორიას ბარდება და ქრება. ამიტომ საჭიროა მათი სასწრაფოდ შეგროვება და დაცვა ქართული კულტურის საგანძურებში.

ეკლარის რბილი, ადვილად დასამუშავებელი საქანდაკო ბუნების მქონე ქვა, თავისთავად იზიდავს მის გარემოში მცხოვრებ ადამიანებს — გამოსახონ ქვაზე მათი სულიერი თუ მატერიალური სამყაროს ნიშნები. ხუთასზე მეტი კომლიანი სოფ. ჭოგნარის დიდი დასახლების მოზარდი თაობა უკვე 10—12 წლის ასაკიდანვე ყალიბდება როგორც მოქანდაკე-მეჩუქურთმე, რომელთა ნახელავი — არაერთი საინტერესო ნიმუში — დაცულია როგორც თვით მოსახლეობაში, ისე რაიონის მხარეთმცოდნეობის სხვა მუზეუმებში.

სამწუხაროდ, ქვის მოქანდაკეთა და მეჩუქურთმეთა ეს შესანიშნავი გარემო სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული პროფესიული სწავლების სათანადო ორგანოების მიერ. ჭოგნარელ ქვითხუროთა მთამომავალი თაობის საგანგებო აღზრდა და სოფელში სპეციალური ტექნიკუმის დაარსება, ვფიქრობთ არაერთ სახელოვან ჩუქურთმის ოსტატს მოგვცემდა, რომელთა ნახელავებიც ღირსეულად დაამშვენებდა დღევანდელ გრანდიოზულ ნაგებობათა კედლებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბერცელ ჩაჩაშვილი
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ხევსურული საფეხნო

ქართველ მთიელთა ძველი ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელ მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის, განსაკუთრებული ადგილი უკავია სოფლის ყრილობისათვის განკუთვნილ ნაგებობას, რომელიც სპეციალური შენობის სახით საქართველოს მთაში მხოლოდ და მხოლოდ მიღმა-ხევში (პირიქით ხევსურეთში), სოფელ შატილშია შემონახული და საფეხნოს სახელწოდებითაა ცნობილი. კავკასიონის უღელტეხილის ჩრდილოეთ ფერდობზე, მდინარე არღუნისა და შატილწყლის მონაკვეთზე აღმართულ კლდეზე, არწივის ბუდესავით ცად ატყორცნილი სოფელი შატილი — თვითონ წარმოადგენს ხალხური ხუროთმოძღვრების იშვიათ ძეგლსა და დაცვის ობიექტს. დათვისჯვრის ძნელი გადასასვლელისა და ველკეთილის გადალახვის შემდეგ შატილის დიდებული კომპლექსი საოცრებად აღიმართება ადამიანის წინაშე. შატილი დასახლების იშვიათი ძეგლი და ციხე-სიმაგრეა ხევსურეთში, რომელიც ისტორიულად საქართველოს ჩრდილოეთ მისადგომებს იცავდა. აქ ბუნებრივ პირობებთან შეხამებული ციხე-სახლები ტერასებად იყო განლაგებული მთელ სიმაღლეზე, სადაც ყველაფერი თავდაცვის ინტერესებს ემსახურებოდა. აქ ერთი სახლის ბანი მეორე სახლის ეზოს წარმოადგენდა და ამ „კიბით“ თავისუფლად შეიძლებოდა სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში გასვლა.



შატილი რამდენიმე უბნისაგან შედგება: ანატორი, ქავჩი, შუასოფელი, ზენუბანი, რომლებსაც ერთმანეთთან ვიწრო გასასვლელი (შარა) აკავშირებს.

სოფლისავე დასაწყისში, შელმართზე, ე. წ. ჯვარის მამულის მიჯნასთან აღმართულია სასოფლო დანიშნულების ერთსართულიანი პატარა ნაგებობა — საფეხნო, რომელიც ხევსურეთის წარსულში მნიშვნელოვან საზოგადოებრივ როლს ასრულებდა. შატილის საფეხნო სოფლის მამაკაცთა საკრებულო ნაგებობა იყო და ხევსურეთის სხვა სოფლებში გავრცელებული ღია საფეხნოებისაგან განსხვავებით მას „დაფარებული“ ეწოდებოდა. შატილის საფეხნო სიპით მშრალად ნაშენი ნაგებობაა და სამი კედლისგან შედგება. წინა კედელი მას არა აქვს და ეს ღია ნაწილი პატარა ეზოს სახით საფეხნოში შესასვლელია. მას საფეხნოს კარი ეწოდება. საფეხნოს კედლები ფერდობის გამო ზურგისკენ თანდათანობით დაბლდება და ღრმად არის მიწაში ჩამჯდარი. საფეხნოს კარზე კუთხურად აღმართულ კედელზე საგანგებოდ ქისტან დასტურის სკამია გამართული. საფეხნოს ქაზდარი (იატაკი) დატკეპნილი მიწაა, სახურავი კი ბანიანი აქვს. საფეხნოს ჭერს ხის ორი ბოძი აქვს შეყენებული. წინა — საფეხნოს კარის ზღურბლზეა

მოთავსებული და მრავალი „ჭკდითაა“ დასერილი. (ეს ჭკდეები შატილელი მონადირეების მიერაა ამოკაწრული დახოცილი ნადირის სათვალავად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხნოს შიგნით მოთავსებულია ფიქალებისაგან გამართული საუფროსო სკამი, რომელზეც მხოლოდ თავკაცები სხდებოდნენ, საუმცროსო სკამი — შუა კაცებისათვის, ქვის დენგი (თოფის წამლის დასამზადებელი ხელსაწყო) და ორი ხიმუნი (მსხვილფეხა საქონლის ტყავის დასაზელი იარაღი).



საფრინდაო. სოფ. დართლო. თუშეთი. 1932 წ.

ძველად შატილის საფეხნოს ორი ძირითადი დანიშნულება ჰქონდა. პირველყოვლისა, ის წარმოადგენდა სოფლის მამაკაცთა ყოველდღიურ შესაკრებ ადგილს, სადაც დილა-საღამოობით და განსაკუთრებით კვირა-უქმეში ხალხი გამოულევლად იჯდა... განსაკუთრებული რიდითა და პატივისცემით სარგებლობდნენ აქ თავკაცები, რომლებიც ხალხში ცნობილნი იყვნენ თავისი ცოდნით, ჭკუით, გამოცდილებით, ვაჟკაცობით და მჭერმეტყველებით. საფეხნოში შეკრებილი მამაკაცობა ერთმანეთს უზიარებდა ახალ ამბებს, მეზობელი თემების ჭირ-ვარამსა და სიხარულს, აქ უამბობდნენ მოხუცები ახალგაზრდებს გარდასულ დროთა ამბებს, ჟამთა სიავესა და წინაპართა გმირობასა და თავდადებას. აქ ეცნობოდნენ ისინი მამა-პაპათა ზნე-ჩვეულებებს, ცხოვრების ნორმებს, სიტყვის ძალასა და „ანდრეზებს“, საფეხნო თავისებური სკოლა იყო ხევსური ახალგაზრდობისათვის, რომელიც ძველად მოკლებული იყო სწავლა-განათლების საშუალებას. თავკაცთა გავლენით აქ ყალიბდებოდა მოზარდი ხევსურის მსოფლმხედველობა და ადათის ძალით შემტკიცებული საზოგადოებრივი აზრი. მტერთან ბრძოლაში სახელის მოხვე-

ქა დიდად იყო დაფასებული ხევსურეთში, საგმირო საქმის ჩამდენს საფეხნოში საპატიო ადგილზე სვამდნენ და „სახელს ულოცავდნენ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფეხნოში შეკრებილი მამაკაცების ერთი ნაწილი ხელსაქმობდა (ტყავს ზელდა, თოფის წამალს ამზადებდა, „მუშს“ გრეხდა, ქალამანს „ასხამდა“). ზოგი სამუშაოს შესრულება (ტყავის დაზელა, თოფის წამლის დანაყვა), საფეხნოში კოლექტიურ ხასიათს ატარებდა და შრომით ურთიერთ დახმარებაზე იყო დამყარებული.

ამას გარდა, საფეხნოსთან სხვა რიგის წეს-ჩვეულებანიც იყო დაკავშირებული. ახალი წლის ციკლის დღეობათა ერთი ნაწილი საფეხნოში სრულდებოდა. „გამცხადება“-დღეს ალიონზე შატილის საფეხნოში 7—8 წლიდან მოყოლებული უცოლო ახალგაზრდობა (გოგონებს, ისევე როგორც დედაკაცებს, საფეხნოში შეს-



საფრინდაო. ს. დართლო. მთა-თუშეთი. 1965 წ.

ვლა სასტიკად ჰქონდათ აკრძალული) იკრიბებოდა, თან არაყი და კეცეულები მიჰქონდათ „სწორ-სწორთა“ სულების მოსახსენებლად. ამ დღეს ბავშვები საფეხნოში მამაკაცებს არ უშვებდნენ. საფეხნოში ძალით შესვლის მსურველს ისინი სახეში მიწას მიაყრიდნენ და უკუაქცევდნენ. საფეხნოში შეკრებისთანავე ბავშვები ცეცხლს „აგზებდნენ“, ტ ა ბ ლ ა თ  ს ა ხ ე ლ ს  დ ე ბ დ ნ ე ნ, არაყსა და ხატიდან მოტანილ ლუდს სვამდნენ, კეცეულებს შეექცეოდნენ, ჭიდაობდნენ, ფარიკაობდნენ, ლუწუკენტაობდნენ, ცეცხლზე ხტუნაობდნენ, შებინდებისას ცეცხლს ჩაუქრობლად ტოვებდნენ და სახლებში ბრუნდებოდნენ.

სოფელში უცხოდ მოსული სტუმარი პირველად საფეხნოში მიდიოდა, სადაც

მას მასპინძელიც გამოუჩნდებოდა. როცა შატილიონთ საფეხნოში სტუმარი მივი-დოდა, მოსულს ახალგაზრდებიც და თავკაცებიც ფეხზე წამოუდგებოდნენ. „[illegible] გაუმარჯოსო, — ეტყოდა მოსული, — დასხედით, მტერსამც აუდგებითო“.

— მოგვიხვე მშვიდობით, — ეტყოდნენ დამხდურნი, მოიკითხამდნენ ერთმანეთს „სხვა ხო კარგა კაც, საქონით, ხო არაფერ გიჭირსთ, გადმახე აქ დაჯედივ“. საფეხნოს თავში საუფროსო სკამზე ორი-სამი თავკაცი დაჯდებოდა და გვერდით სტუმარს მოიჯენდნენ. მოსულს კითხავდნენ „ამბავ ხო არაიავ თქვენსავ, ავის ხმა ხო არ აავ. თუ ვინ მამკვდარაიავ“. — სტუმარი დამხდურებს თავის ამბავს უამბობდა, რის შემდეგაც მას მასპინძელი შინ წაიყვანდა.

გადმოცემით, ძველად შატილიონი საფეხნოში დილაადრიან ფეხგახდილი მიდიოდა და ჯღანს იქ იცვამდა. შატილელებზე ბუდე-ხევსურეთში ამბობდნენ — შატილიონთ საფეხნოში „მუდამ კაც უზის, უმეტეს უფროსნი“, ან „ხევსურს გულ მიუწევს საფეხნოჩი, სხვაფრივ ცხოვრება ამ კლდეში ძნელი ას“.

საფეხნოს მეორე ძირითადი დანიშნულება იმაში გამოიხატებოდა, რომ აქ ეწყობოდა ხოლმე სოფლის სრულწლოვან[1] მამაკაცთა ყრილობა, რომელიც სოფლის სამეურნეო ცხოვრებისა და თავდაცვის საკითხებს აწესრიგებდა (დედაკაცები არც სოფლის ყრილობას ესწრებოდნენ). საფეხნო სოფლის ცხოვრების ისეთი ცენტრი იყო, რომლის გარეშე ვერც ერთი შატილელი სოფლის საერთო საქმეების მოწესრიგებაში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. შატილში სოფლის ყრილობას, ისევე, როგორც სოფლის ცხოვრებას, თავკაცები ხელმძღვანელობდნენ. თავკაცთა შორის წამყვან როლს „ხატის კაცნი“ ასრულებდნენ, ხოლო მათ შორის განსაკუთრებული გავლენით სარგებლობდა ქისტან დასტური, რომელსაც ვითარცა თეოკრატიული ხელისუფლების წარმომადგენელს და შატილიონთა საგვარეულო ხატის მსახურს, საპატიო ადგილი ჰქონდა გამოყოფილი საფეხნოს კარზე.

სოფლის ყრილობა მსჯელობდა ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო საქონლის სეზონური გაერთიანება და მორიგეობით მწყემსვა, სასოფლო გზებისა და ხიდების მშენებლობა და შეკეთება, მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის მოწესრიგება, სოფლის თავდაცვა და სხვა ასეთები. ყრილობის წინაშე პასუხისმგებელი თითოეული კომლიდან სახლის უფროსი მამაკაცი იყო. დადგენილების შეუსრულებლობა სოფლის პირის ჩაშლას ნიშნავდა და მსგავს შემთხვევაში სოფლის წყენა და შეურაცხყოფა ურჩის „საქონ-ნაქონის დარისხებით“ ან მოკვეთით დასრულდებოდა.

ხევსურეთის დანარჩენ ნაწილში შატილისაგან განსხვავებით სასოფლო საკრებულო ადგილები ღია ცისქვეშ იყო გამართული სოფლის ცენტრში ან ხატის მახლობლად (ზარადის გორი ბაცალიგოში, სახვევი გორი — ბისო ხახმატში, შუკუნ კარი — ჭორმეშაში და ა. შ.).

საფეხნოს პარალელები სხვა ქართველ მთიელებშიცაა ცნობილი. ასეთებია მოხევური ერობა, რომელიც ძველ ქართულ ერისკრებას მოგვაგონებს, თუშური

---

*. სრულწლოვანად ხევსურეთში ითვლებოდა 14-15 წლის ჭაბუკი, რომელსაც იარაღის ტარება და თასის დალოცვა შეეძლო.



სოფელი დართლო. მთა-თუშეთი, 1965 წ.

ზეხვნე და საანჯმო, სვანური სუიფ და სოფლობ, რაჭული სანახშო და ა. შ. აღსანიშნავია აგრეთვე ჩრდილო კავკასიის ხალხებში დამოწმებული ანალოგიური ინსტიტუტები (დიდოური ვუდეკანი, ოსური ნიხასი, ჩაჩნური ფჰიელ და სხვ.). მამაკაცთა ამგვარი საკრებულოები ძველი ცივილიზაციის მქონე სხვა მრავალი ხალხის ყოფაშიცაა დამოწმებული.



ქრ. კასტელის ჩანახატები XVII ს.—ერთსართულიანი ნაგებობები

*. როგორც ჩანს, მამაკაცთა კლუბის მსგავსს დაწესებულებას უნდა აღნიშნავდეს ძველი ქართული ტერმინი „საგანმზრახო“, რაც საბას განმარტებით სალაპარაკო სახლს ნიშნავს. სალაპარაკო ადგილები (ცნობილია აგრეთვე ძველ თბილისში „სალაყბოს“ სახით, სვანეთში „ლანყავალ“-ის სახით და ა. შ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირაკლი სურგულაძე
თბილისის სახელმწ. ფო უნივერსიტეტის
ისტორიისა და ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის ასისტენტი

# მთა-თუშეთის ციხე-ნაგებობათა ორნამენტები

მთა-თუშეთი, კავკასიონის მთიანეთის ერთ-ერთი ულამაზესი და უმდიდრესი კუთხე, მდიდარია თავისი ძველისძველი ტრადიციებითაც. დიდი იყო მისი როლი ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოში: მთა-თუშეთის კარგად განვითარებული მეურნეობა, განსაკუთრებით მესაქონლეობა, მეტად მნიშვნელოვან ეკონომიურ ღირებულებას წარმოადგენდა. ასევე მნიშვნელოვანი იყო თუშების დახმარება გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან თუშეთი პირველ ბურჯად იდგა მტრულად განწყობილ მაჰმადიან კავკასიელ მთიელთა სათარეშო გზაზე.

ასეთი ინტენსიური შრომისა და გამუდმებული ბრძოლის პირობებში შემუშავდა თუშეთის ისტორიული და კულტურული სახე. სწორედ გამუდმებული საბრძოლო მზადყოფნის გამოა ყველა ხეობის გადასახედზე, მოხერხებულ ფერდზე თუ გორის წვერზე წამომართული საგუშაგო კოშკები და სიმაგრეები. გამაგრებულ ადგილებს წარმოადგენდა თვით სოფლებიც, რომლებიც თავიანთი აგებულებით სავსებით იყვნენ შეგუებულნი არსებულ სამეურნეო და პოლიტიკურ ვითარებას, თუმცა უკანასკნელ ხანებში, რაც მთაში მშვიდობა დამყარდა, ნაგებობებმა საგრძნობლად იცვალეს სახე და დაკარგეს ძველებური მეომრული იერი.

ამჟამად მთა-თუშეთში ხალხი საცხოვრებლად მხოლოდ ზაფხულობით ადის. გვიან შემოდგომაზე, როცა ცხვარი უკვე გარეკილია ზამთრის საძოვრებზე, მთელი ძხარე ცარიელდება და მხოლოდ რამდენიმე სახლიდან თუ ამოდის კვამლი. ამიტომაა, რომ კარ-მიდამოს ძველებურად ვეღარ უვლიან და სანახევროდ მიტოვებული სოფლები ინგრევა და პარტახდება. მთა-თუშეთში მრავლად შეხვდებით მიტოვებულ სახლებს, რომელთაც პატრონები საერთოდ აღარ აკითხავენ. ბევრ მათგანს სახურავი უკვე ჩაქცევია, კედლების წყობა დარღვეულია და თავიდან ბოლომდე მიუყვება ბზარი. ასეთ მიტოვებული სახლების პატრონებს თუშები ხუმრობით „ჭინჭარამოსულებს" ეძახიან, რადგან მოუვლელი კარ-მიდამოზე კაცის სიმაღლე ჭინჭრის რაყა ბიბინებს.

ყველა ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი უგზოობაა. მთა-თუშეთში დღესაც ძირითად ტრანსპორტს ცხენი წარმოადგენს და ამიტომ მეტად ძნელი საქმეა მოსახლეობის საშენი მასალითა და სათბობით მომარაგება, რის გამოც ზამთრობით მთად დარჩენილები ხშირად მიტოვებული სახლების ხის ნაწილებსა და ძველებურ, შესანიშნავად ორნამენტირებულ ავეჯს იყენებენ შეშად. ამიტომ მიმდინარე წელს მთა-თუშეთში მომუშავე ეთნოგრაფიულ ექსპედიციას საკმაოდ ძვირად ხვდებოდა ძველებური ავეჯი, თუმცა, როგორც ეს შემორჩენილი ნიმუშებითა და ხნიერი ხალხის სიტყვიდან ირკვევა, ხის მხატვრული დამუშავების ხელოვნება მთა-თუშეთში მეტად მაღალ დონეზე მდგარა. სამწუხაროა, რომ ეს ძეგლები სამუდამო გაქრობის გზაზე დგანან.



სოფელი ფ ა რ ს მ ა. მთა-თუშეთი

თუშური ორნამენტი წარმოადგენს ჩვენს მთიანეთში გავრცელებული გეომეტრიული დეკორატიული ქარგის ერთ-ერთ ნაირსახეობას, რომელიც მრავლად შეიცავს ასტრალური ხასიათის, ანუ გაღმერთებული ციური სხეულების სიმბოლოებს. ასეთი სიმბოლოები მარტო ორნამენტში კი არ გვხვდება, არამედ ისინი ხშირად დამოუკიდებელი სიმბოლო-ნიშნის სახით არიან წარმოდგენილი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებზე. განსაკუთრებით გავრცელებულია მრავალგვარი წრეები, ჯვრები, ოთხკუთხედები, ნადირობის სცენები, ხაზოვანი სტილით შესრულებული მხედრების გამოსახულებანი, რომელთაც თავი წრის სახით აქვთ გადმოცემული, — ეგრეთწოდებული ჯვარკაცები. თითოეული მათგანი გარკვეულ რელიგიურ სიმბოლოს წარმოადგენს თავისი დამოუკიდებელი შინაარსითა და დანიშნულებით, მაგრამ ხალხს სადღეისოდ მათ შესახებ ბევრი რამ აღარ ახსოვს და მხოლოდ მხატვრული ტრადიცია შემოუნახავს. ასეთი გამოსახულებანი მრავლად მოიპოვება მთელ მთა-თუშეთში, მაგრამ ჩვენ ამჯერად მხოლოდ სოფელ დართლოს კოშკებზე მოცემულ ნიშნებზე შევჩერდებით.

დართლო პირიქითა ალაზნის ხეობის ცენტრს წარმოადგენს და ყველაზე უფრო მსხვილი დასახლებული პუნქტია ამ მიდამოში. სოფელი ნაწილობრივ მდინარის პირა ველზეა გაშლილი, ნაწილობრივ კი მთის ფერდობზეა შეფენილი და თავისი განლაგებით მშვენიერ სანახაობას ქმნის. მთელი ამ ანსამბლიდან ერთი თვალის გადავლებით გამოირჩევა სოფლის ყველაზე ძველი და მაღალი ნაგებობები, კოშკები. გარეგნულად ისინი ბევრით არ განსხვავდებიან მთა-თუშეთის სხვა სიმაგრეებისაგან: ვიწრო სამზერები სარკმლების მაგივრად, სათოფურები და გოროზი სილუეტი უზარმაზარი მთების ფონზე დაუვიწყარ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. ერთ-ერთ მათგანს ფასადში ჩაყოლებული აქვს სამი, შესამჩნევად განსხვავებული ფერის საკმაოდ მოზრდილი ქვა. ისინი ერთ ჰორიზონტალურ მწკრივს ჰქმნიან ისე, რომ შუა ქვა კედლის ცენტრზე მოდის, ხოლო დანარჩენი ორი ნაპირებზე. მარცხნიდან პირველ ქვაზე გამოსახულია წრე, რომლის ცენტრში ჩასმულია რკალურგვერდებიანი ოთხკუთხედი (რკალები ოთხკუთხედის ცენტრისკენაა შეზნექილი). ასეთივე ოთხკუთხედი მოცემულია მეორე ქვაზე გამოსახული წრის ცენტრშიაც, მაგრამ პირველისაგან განსხვავებით ამ წრეს გარშემო სხივები აქვს შემოყოლებული. მესამე წრე დაფარულია კოშკზე მოგვიანებით მიშენებული ნაგებობით და ზედ გამოყვანილი ნიშანი არ ჩანს, მაგრამ ნიშანი რომ მართლაც არის ამოკვეთილი, ეს უდავოა. ასეთი ნიშნებიანი ქვები მთა-თუშეთის კოშკებზე საერთოდ მაინც და მაინც ხშირად არ გვხვდება, მაგრამ დართლოში სხვა ნაგებობებზედაც არის მსგავსი გამოსახულებანი. ერთ ადგილას კიბეში ჩაშენებულია ძველი დანგრეული სახლიდან წამოღებული ქვა, რომელზედაც კარგად ჩანს ჯვრები და წრეები, მეორეგან — სახლის ფასადზე მდიდრულად გაფორმებული წრეა. დართლოს განაპირას, საკრძალავი აკლდამის ფასადზე, დასავლეთის მხრიდან, ამოკვეთილია წრე, რომელიც ალბად მიცვალებულთა მზის სიმბოლო უნდა იყოს. სხვა ადგილას სახლის კედელზე გამოსახულია ნადირობის სცენა, მაგრამ ზემოხსენებული შემკული ქვებისგან განსხვავებით ეს უკანასკნელი ძველის მიხედვით შემუშავებული თანამედროვე მოდელი უნდა იყოს და ამდენად თავისი შინაარსით ნაკლებად საინტერესოა. თუმცა აქაც საყურადღებოა გადმონაშთის ახლებურად გარდაქმნის ცდა.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი გამოსახულებანი ნაგებობებზე სხვაგან უხვად

არ გვხვდება, გომეწრის ხეობაში, ჩაღმასა და ჭანჭახოვანში ძველებურ ნივთებზე, უხვად მოიპოვება ანალოგიური სიმბოლოები. ხშირია ჯვარკაცების გამოსახულე-ბებიც.

დართლოს კოშკების სიმბოლოები უსათუოდ ასტრალური შინაარსისა უნდა იყვნენ. მეცნიერებაში კარგად ცნობილია, რომ წრის სახით საერთოდ ციურ სხეულებს გამოსახავენ. ამ გამოსახულებათაგან შედარებით ადვილი გამოსაცნობია მზე, რადგან მას ხშირად განსხივოსნებული წრით გადმოსცემენ, თუმცა ეს წესი გამონაკლისის გარეშე არ რჩება. ჩვენში შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული ნახევარმთვარის გამოსახულება, რაც ალბად მაჰმადიანობის საპასუხო რეაქცია უნდა იყოს და მთვარესაც ხშირად სრული წრის სახით აღნიშნავენ. ასეთი ვითარება მდგომარეობას ართულებს, რადგან ძნელდება მზისა და მთვარის სიმბოლოების ერთმანეთისაგან გარჩევა. დართლოს კოშკზე ერთი გამოსახულება სხივებითაა გაფორმებული, ხოლო მეორეს ეს სამკაული აკლია. ამდენად საფიქრებელია, რომ აქ მზისა და მთვარის გამოსახულებებთან უნდა გვქონდეს საქმე. წრეებში ჩახატული ოთხკუთხედების მსგავსი ნიშნები ფართოდაა გავრცელებული როგორც ეთნოგრაფიულ ყოფაში, ასევე გვხვდება არქეოლოგიურ მასალაშიც. ოთხკუთხედი — მიწათმოქმედი ხალხების ორნამენტიკაში დაკავშირებულია ნათესი მინდვრების ცნებასთან. მასთან უძველესი დროიდან დაკავშირებული ჩანს ჯვარიც და ხშირად ეს უკანასკნელი ოთხკუთხედის სხვადასხვა ვარიაციითაც წარმოიდგინებოდა. ჩვენთვის საინტერესო ფიგურის მსგავს ელემენტს ვხვდებით ხევსურების ფარის შუაგულზე და ამ ნიშანს ისინი „გუმბათის ხატს“ უწოდებენ. როგორც ამ ტერმინიდან ჩანს, ხევსურებს ასეთი ოთხკუთხედი ხატად ანუ ჯვარად, ე. ი. ღვთაების სიმბოლოდ აქვთ წარმოდგენილი და მას დაცვის მიზნით ხატავენ ფარზე. თითქმის ასეთი ფორმა აქვს მთიულთა ლომისას ხატსაც. აქედან სავსებით გასაგები ხდება დართლოს კოშკის გამოსახულებათა შინაარსი: გასხივოსნებულ წრეში, ციური მნათობის სიმბოლოში ჩასმულია „ხატი“, ღვთაების სიმბოლო, რაც ამ ღვთაების „მთვარეულ“ ან „მზიურ“ წარმომავლობაზე მეტყველებს. სხვადასხვა მნათობთა სიმბოლოებს, როგორც ბოროტი ძალისაგან დამცველ საშუალებას, ძველად სახავდნენ სახლებზე, საქონლის სადგომებზე, ავეჯზე, ტანსაცმელზე და სხვა.

ამდენად დართლოს კოშკის გამოსახულებანი ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ერთ დეტალს წარმოადგენს.

ასეთივე კონცეფციას ემყარება ჯვარკაცებისა და ჯვრის მსგავსი მხედრების გამოსახულებანი. ამ ფიგურებში მთელი სხეული, როგორც ადამიანის, ისე ცხენისა, ხაზოვანი სქემის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ თავს ყოველთვის წრიული ფორმით გადმოსცემენ. წრით, ანუ ციური სხეულის სიმბოლოთი ადამიანის თავისა და პირისახის გადმოცემა მეტად გავრცელებული მოვლენაა როგორც კავკასიაში, ისე მსოფლიოს მრავალ ძველ კულტურაში. ლაზურ ორნამენტში ვხვდებით ადამიანის სახის მეშვეობით მნათობთა გადმოცემის ცდას, მაგრამ არის შემთხვევები, როცა მნათობის სიმბოლოთი ადამიანის სახეს გადმოსცემენ. საქართველოში მსგავს გამოსახულებებს ვპოულობთ დედაბოძებზე, სკამლოგინებზე და სხვ. მთელს კავკასიაში იცოდნენ თოჯინების პირისახის მნათობის ფორმით გადმოცემა და ეს წესი საკმაოდ გავრცელებული ჩანს თუშეთშიც. ამავე პრინციპზე მზადდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხონე

ნახ. შ. ცინცაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ციხის ნაშალი

(ხალხური)

გამათქვი ციხის ნაშალო:
რა დრო გაქვ გამოვლილიო?
ან ვისგან ანაგები ხარ,
ან ვისგან ჩამოშლილიო?
ხევსჳრეთ ვინ განახევდა,
შენზე ვის ედგეს ჭირნიო?

ციხემ თქვა ერთი სიტყვაი
ძალიან გასაკვირიო:
შალვაის ანაგები ორ,
სინის ჩამიდგა ძირიო,
დღეს-ღამეს მყარაჳლობდეს,
მშვილდს აჩქამებდეს გმირნიო.
ხმლის ქნევა, ფარის ფარება
რაოდენ გამამივლია!
ჩემი კალთა და ფერდები
სრჳ სისხლით ჩამოსვრილია,
მტერ მყავდა დაჳთვალავი,
მახმათ ვინღაც ი გმირიო.

პატარან იყვნენ ხევსჳრნი
მაგრამ არ იყვნეს ცჳდანი,
ჳწინ არ ჰქონდათ თოფები,
ჭყიოდეს მშვილდნი რქისანი.
ჩამაზდიოდეს ციხესა
ნაგლეჯნი მაკრატლისანი.

მშვილდს საბამ აღარ ჳძლებდა,
ვადან ცვდებოდეს ხმლისანი.
სისხლის ხმა იხალიზებდა,
გალონ იბრძოდეს გმირთანი.
ხანდიხან წავიმარჯვიდი,
ვლივნიდი ჯარნი მტრისანი.
ქანევდა სისხლი მინდორთა,
რჳვნ ივსებოდეს წყლისანი.
აივსნენ ეკალდამანი,
მკვდართ არ წვდებიან მიწანი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვიმის რიტუალში ხმარებული თოჯინა „ლაზარე“ და ბავშვების სათამაშო თოჯინები.

რითი უნდა აიხსნას ასეთი დამთხვევები? რელიგიის ისტორიაში კარგად ცნობილია, რომ გარკვეულ პერიოდში ღვთაებები არ იყვნენ წარმოდგენილნი ადამიანის სახით და მათი ადამიანთან დამსგავსება შედარებით გვიან მოხდა. ჩვენი მაგალითების ძირითადი პერსონაჟი, ადამიანის სახიანი მნათობი თუ მნათობისებური თავიანი ადამიანი არის ასტრალური ღვთაება, რომლის „გაადამიანება“ ჯერ არ დასრულებულა და ამდენად კიდევ აქვს შერჩენილი თავისი პირვანდელი სახის ელემენტები. აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რიგი თოჯინებისა ადრე ასტრალურ ღვთაებებს გამოსახავდნენ და მოგვიანო ხანაში ქრისტიანობის გავლენით სავსებით შინაარსდაკარგულნი, საბავშვო სათამაშოებად ქცეულან.

ამდენად აშკარაა, რომ ჯვარკაცები სავსებით კონკრეტულ ღვთაებრივ პერსონაჟს გულისხმობენ, მაგრამ კერძოდ რომელსა და რა ფუნქციების მატარებელს, ამის თქმა ადვილი არ არის. მიუხედავად სირთულისა, კავკასიისა და მეზობელი უძველესი კულტურული ხალხების ანალოგიურ რწმენათა შეჯერება მრავალ ზნელით მოცულ საკითხს მოჰფენს ნათელს.

ყველა ასეთი გადმონაშთი მეტად საინტერესოა ქართველთა უძველესი სარწმუნოების შესწავლისათვის. მათი დროული შეგროვება გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს, რადგან ძველი ყოფის გადმონაშთები ან საერთოდ დაიკარგა, ანდა ამჟამად ითვლიან თავიანთი მრავალსაუკუნოვანი არსებობის უკანასკნელ დღეებს. მთა-თუშეთში უკვე აღარავის ახსოვს ამ გამოსახულებათა სახელწოდება და კონკრეტული შინაარსი, აღარავის ეშინია ძველისძველი ღვთაებებისა, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს წარსულის რწმენების საკმაოდ ძლიერი ინერცია, რაც ძველებურ დღეობებსა და რიტუალებში კიდევ იგრძნობა. მიუხედავად იმისა, რომ ეს წესები სადღეისოდ სავსებით გამარტივებულია და მათი მცოდნე პირები მთა-თუშეთს ძლიერ ცოტა შემორჩა, ჯერ მაინც შეიძლება მათი მეშვეობით მრავალ საინტერესო კითხვას გაეცეს პასუხი.

ყოველწლიურად მთა-თუშეთს უამრავი სტუმარი ჰყავს. აქ მოდის სხვადასხვა სპეციალობის ხალხი, მაგრამ ყველას აერთიანებს ჩვენი სამშობლოს კულტურისა და ისტორიისადმი უსაზღვრო სიყვარული. ამიტომ ყველა მათგანის მისწრაფება უნდა გადაიქცეს იმ ძალად, რომელიც დაიცავს მთა-თუშეთს და ამ ძვირფას განძს მომავალ თაობებს შემოუნახავს.

შალვა ცინცაძე
არქიტექტორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექსპედიცია მუცოში

1963 წელს საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენსახპროექტის“ დირექციამ კავკასიონის მაღალმთიან რაიონის დასახლებების შესწავლის მიზნით ექსპედიცია მიავლინა პირიქეთა ხევსურეთში...

Ადრინდელ ბრინჯაოს ხანიდან დაიწყო კავკასიონის მაღალმთიანი რაიონების ათვისება და დასახლება, ხოლო ქრისტიანული კულტურით განათლებამ ხელი შეუწყო ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. ამ ხანიდან ვიდრე XIX საუკუნის დასაწყისამდე კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში დასახლებული ქართველი ტომების მნიშვნელობა, როგორც მუდმივი საბრძოლო ავანგარდისა და ჩრდილოეთიდან მიმავალი გზების დამცველი გუშაგებისა, კიდევ უფრო გაიზარდა.



სწორედ ამიტომ პირიქეთა ხევსურეთის ხუროთმოძღვრების ჩამოყალიბება, ცხოვრების მძიმე ეკონომიური პირობებისა და ცივი კონტინენტალური ჰავის გარდა, ჩრდილოეთიდან ველური ტომების გაუთავებელმა შემოსევებმაც განაპირობა.

დროთა ვითარებაში საბრძოლო იარაღებისა თუ ტექნიკის განვითარებასთან ერთად, იცვლებოდა დასახლების გეგმარება და ნაგებობების არქიტექტურაც.

ამ თვალსაზრისით მუცოს არქიტექტურული ანსამბლი პირიქეთა ხევსურეთში შემორჩენილი ნასახლარებიდან ყველაზე ძველია, რადგანაც გაუთავებელი სისხლისმღვრელი ომების შედეგად მუცოს მეციხოვნენი მთლიანად ამოუწყვეტიათ, ქალაქი კი გადაუწვავთ და ნანგრევებად უქცევიათ 1769 წელს. ამის შემდეგ ციხე-ქალაქში სიცოცხლე არ განახლებულა.

ციხე-ქალაქი მუცო, საკმაოდ რთულ რელიეფზე განაშენებული არქიტექტურული ანსამბლია. მისი თავდაპირველი განაშენიანება ზედა ტერასაზე მომხდარა, იგი მოგრძო ოვალური ფორმისაა. ჩრდილოეთის მხრიდან დაცულია თორღვაის კოშკით, ხოლო სამხრეთის მხარე განაშენიანებულია ციხე-სახლებით. ციხე-ქალაქს აღმოსავლეთის და დასავლეთის მხარეებიდან მიუვალს ხდის ციცაბო კლდის ქარაფოვანი კედლები.

ზედა ტერასის ცენტრალურ ნაწილში აშენებულია, კარგად შენახული პატარა მოცულობის სამლოცველო და საკმაოდ მაღალი სათვალთვალო კოშკი. სამლოცველოს სამხრეთით, ყორე-წყობით შემოფარგლულ პატარა ეზოს, „ბროლის კალოს“ ეძახიან. ბროლის კალოს ტერიტორიაზე აშენებული იყო ციხე-ქალაქის ერთადერთი საჯინიბო, რომლის აღდგენას, ვინმე „თორღვაის“ მიაწერენ.



მუცოს პანორამული ხედი არაგვის ხეობიდან

ფოტო შ. ცინცაძისა



მ უ ც ო — ნახ. შ. ცინცაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედა ტერასის არქიტექტურულ ანსამბლში: სამლოცველო და ჩრდილოეთის, ანუ „თორღვაის კოშკი“, სასიამოვნო პროპორციით, ხედების ასიმეტრიული კომპოზიციით, ქვების კარგად შერჩეული ფერით და მასშტაბით მუცოს არქიტექტურულ ანსამბლში ყველაზე საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობებს წარმოადგენენ.

მეციხოვნენი ზედა ტერასის განაშენიანებას „ხატის უბანს“ ეძახდნენ.

„ქვეთათუბანი“ — ქვედა ტერასის არქიტექტურული ანსამბლია. ზედა ტერასის განაშენიანებიდან განსხვავებით, საცხოვრებელი ნაგებობები აშენებულია იმდენად ახლოს, რომ სახლის გარე კედელი გამოყენებულია საბრძოლო ზღუდედ.

ორივე ტერასაზე გაშენებულ საცხოვრებელ ნაგებობათა დიდი ნაწილი ხუთსართულიანია, ზოგან გვხვდება ოთხი ან ექვსსართულიანებიც.

საცხოვრებელ ნაგებობებში, როგორც წესი, პირველი ორი სართული დათმობილი აქვს საქონელს. მას „ქვეთათვალს“ ეძახიან. „ქვეთათვალის“ პირველ სართულზე უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ბოსელი, ხოლო მეორე სართულზე საცხვრე. იშვიათად, მაგრამ გვხვდება შებრუნებითაც. „ქვეთათვალი“-ს პირველი სართულის სიმაღლე 1,75 მეტრს არ აღემატება, ხოლო მეორე სართულის 1,5 მეტრს. „ქვეთათვალი“-ს სათავსოების განიავება ხდება პატარა ზომის, ოსტატურად შენიღბული სარკმლების საშუალებით. ხუთსართულიან ნაგებობებში მესამე და მეოთხე სართულებს „სახლს“ ეძახიან. ისინი საცხოვრებელი სართულებია, მისი ფართი ერთ სართულზე 40 მ² არ აღემატება, თუმცა გვხვდება 60 და 70 მ² ფართის მქონე „სახლიც“. საცხოვრებელი ნაგებობების ზედა — მეხუთე სართული, „ზეთათვალია“. იგი, როგორც წესი, ყველა ტიპის საცხოვრებელ ნაგებობებში გვხვდება. „ზეთათვალში“ ინახავდნენ სურსათ-სანოვაგის მთელი წლის მარაგს, სამუშაო და საბრძოლო იარაღებს, ხოლო ზაფხულობით ამოჰყავდათ ბავშვები.

„სახლის“ კავშირი „ზეთათვალთან“ ან „ქვეთათვალთან“ ხორციელდებოდა ჭერის ან იატაკის გადახურვაში დატანილ ღობეებზე მიდგმულ ხის კიბეების საშუალებით, რომელთა შორის გვხვდება მორზე ამოკვეთილი საფეხურებიანი კიბეც — უფრო ხშირად „ზეთათვალში“ ასასვლელად.

ციხე-ქალაქის ყველა ნაგებობა აშენებულია ადგილობრივი ფიქალით, რომელსაც „სიპ-ქვას“ ეძახიან. კედლები ამოყვანილია მშრალი წყობით. თერმოიზოლაციის მიზნით, კედლის წყობისას ფიქალს შორის არსებულ სიცარიელეს ავსებდნენ დუღაბით, რომელსაც განსაკუთრებული რეცეპტით ამზადებდნენ.

ყველა ნაგებობებში სასინათლო წყაროს, სარკმლები ასრულებენ. ისინი, როგორც წესი, ამოჰყავთ ნათოხარით. ყველა სართულის სარკმლების სიგანე ზღუდართან ვიწროვდება. ზღუდარისათვის მშენებელი ხუროთმოძღვარი — „ყორის ხურო“ არჩევდა მაგარი ჯიშის ფიქალს — „ხოხს“.

ტრადიციულად მესამე სართულის „სახლის“ კუთხეში „ყორის ხურო“ ითვალისწინებდა ცეცხლის კერას, სათანადო ხანძარსაწინააღმდეგო იზოლაციის გათვალისწინებით. ასეთ საცეცხლურს ხევსურეთში „კერას“ ეძახიან. კვამლის სახლიდან გაყვანის მიზნით „კერის“ მახლობლად „ყორის ხუროს“ ამოჰყავდა სარკმელი, დანარჩენ სარკმლებზე ბევრად მაღლა. ამიტომ იგი საკვამლე ღიობის ფუნქციას ასრულებდა. ასეთ სარკმელს „საკვამი“ ეწოდება, ხოლო დანარჩენ სარკმელებს, რომლებიც სათავსოს განათებისა და განიავებისათვის ამოჰყავდათ — „შუკუმი“.

იმის გამო, რომ „შუკუმს“, მობინადრეები იყენებდნენ, როგორც სათოფურის — თავდაცვის მიზნით, მის მდებარეობას კედლის სიბრტყეში და პროპორციებს, თავ-დაცვითი თვალსაზრისით განსაზღვრავდნენ.

პირიქეთა ხევსურეთში საცხოვრებელი სახლები იხურებოდა „სიპედა“-თი ან „ჭერხო“-თი. „სიპედა“ — ფიქალის საკმაოდ ფართე ნაჭრებისაგან დაწყობილი, დაბალი ქანობის მქონე სახურავია. ხოლო „ჭერხო“ ჩვეულებრივი ბანია, რომლის მცირედი ნაწილი — ბანზე ასასვლელი, ფიქალის სახურავით იხურება.

ციხე-ქალაქის ყველაზე დაბალი ტერასა „შაკეთეს ველი“ — მუცოს სამაროვანია. აქ არსებული ძეგლები აგებულია გმირი მეციხოვნეებისა და ხევისბერისათვის.

ციხე-ქალაქის ანსამბლში ქუჩა, ჩიხი შესახვევი თუ კიბეები, რომლებიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ერთმანეთთან დაკავშირებული სახით, გაჰყავდათ ან აშენებდნენ, როგორც თავდაცვით და სატრანსპორტო საშუალებას.

მუცოს არქიტექტურული ანსამბლის მშენებლებიდან ცნობილია მხოლოდ გაგა დაიაურის და ქორთა მინდიკაურის ვინაობა. მათ XVIII ს-ს მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისში „თორღვას“ დავალებით ააშენეს (თუ განაახლეს) სოაიფი ბურჩაშვილის სახლი და თორღვას კოშკი.

თორღვას უცდია ნაქალაქარ მუცოში სიცოცხლის აღდგენა. სათანადოდ აუშენებია ხიდი მდ. არღუნზე და გზა გაუყვანია თუშეთსა და ლეკეთში გადასასვლელად.

თორღვას ცდა მუცოში სიცოცხლის განახლებისა, ამაო გამომდგარა, რადგანაც 1820-იან წლებში შამილის ლაშქარს თორღვასთან შებრძოლების შემდეგ მუცოში მისი ნამოღვაწარი გადაუწვავს და დაუნგრევია. (სოფელ ხონეს მცხ. 120 წლის როსტომ შეთეკაურის გადმოცემით).

ციხე ქალაქზე, მომთაბარე ტომების გაუთავებელი თავდასხმების გამო, მეციხოვნეთა ხშირმა მსხვერპლმა და ალპურ ზონაში დასასაფლავებელი ნიადაგის უქონლობამ, მუცოს მეციხოვნენი იძულებული გახადა წინასწარ ეზრუნათ სამლოცველოების მშენებლობაზე, რომლებსაც დიდი ბრძოლების შემდეგ იყენებდნენ, როგორც აკლდამებს. ეს არის იმის მიზეზი, რომ მუცოს ტერიტორიაზე არსებული შვიდი სამლოცველოდან ექვსი დროთა ვითარებაში აკლდამებად გადაუქცევიათ.

პირიქეთა ხევსურეთში პირველად მარტომ დავზვერე — მდ. არღუნის სათავის ხეობა და მისი მიმდგომი ხეობები, ხოლო განმეორებითი გამგზავრებისას ჩემთან ერთად იყვნენ არქიტექტორები: ნ. შავიშვილი, გ. კვიტატიანი, ე. ცხაკაია, მ. ჩაჩანიძე, შ. თადუმაძე, დ. ცხაკაია, ა. ბახტაძე, ლ. მეძმარიაშვილი. მათ მიერ იქნა შესრულებული ციხე-სახლების, კოშკების, საჯინიბოს აზომვა, ჩახატვა ფოტო და კინოფირზე გადაღება.

ვინაიდან ნაქალაქარ მუცოში სიცოცხლის განახლების არავითარი გარანტია არ არსებობს, ხოლო არსებული ნაგებობანი დროთა ვითარებაში ატმოსფერული გავლენით თანდათან ინგრევა, საჭიროა დროზე მოვასწროთ მათი შესწავლა. არქიტექტორების მიერ შედგენილი ტექ-დოკუმენტაცია — აზომვების, ჩანახატების, ფოტო თუ კინო ფირის სახით ძვირფასი დოკუმენტია უნიკალური ნაქალაქარის აღსადგენად.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა რ დ ო ტ ი

ნახ. შ. ცინცაძისა

ბიძინა ახვლედიანი
ინჟინერი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის
უფროსი მასწავლებელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ქურდიანების კოშკი

ზემო სვანეთში, იფარის სოფლის საბჭოს სოფ. ბოგრეშის ზევით, მდ. ენგურის ნაპირას, ქვის დიდ ლოდზე აღმართულია სვანური ოთხსართულიანი ციხე-კოშკი, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ქურდიანების კოშკს" უწოდებს.

ეს სადარაჯო კოშკია. ამას ისიც მოწმობს, რომ ირგვლივ სხვა კოშკები არ არის და არც ნასოფლარის ნიშნებია. ამავე დროს მდ. ენგურის ხეობში, ორი თემის — იფარის და კალას გზაზე მოთავსებული, ირგვლივ მიდამოს კარგა შორს მანძილზე ზვერავს.



სოფ. მესტია. სვანური კოშკი
ფოტო ბ. ახვლედიანისა

კოშკი დღეისათვის კარგ მდგომარეობაშია, თუ არ ჩავთვლით ზემო ნაწილში სახურავთან ახლოს გაჩენილ ბზარს, რაც ქვის წყობაში, უსახურაობით ჩასული და გაყინული წყლის მოქმედების შედეგი უნდა იყოს.

სვანური კოშკი, თავისებურ, განუმეორებელ ტიპს წარმოადგენს. იგი გეგმაში ოთხკუთხეა, ზევითკენ ოდნავ ვიწროვდება და თავზე, როგორც აუცილებელი პირობა, გვირგვინი აქვს დადგმული. ამ გვირგვინის გარეშე, სვანური კოშკი, როგორც საბრძოლო ერთეული — წარმოუდგენელია, რადგან დანარჩენ სართულებს მხოლოდ თითო-თითო ხვრეტი აქვს, რომელნიც ან სარკმელს ან კარს წარმოადგენენ, ყველა მხოლოდ ერთ მხარეს არიან მიმართული და ამდაგვარად, გვირგვინის გარდა, კოშკს დანარჩენ სამ მხარეს მიმოხილვის შესაძლებლობა არა აქვს. ამიტომაც, ქვემო სართულები მხოლოდ თავშესაფარს წარმოადგენენ.

გვირგვინოვანი სართული აღჭურვილია ოთხივე მხრიდან, როგორც წესი, სამ-სამი საბრძოლო ხვრეტით (იშვიათ შემთხვევაში ორი ან ოთხი ხვრეტით), საიდანაც კარგად შეიძლებოდა ისრის ტყორცნა, ხოლო ტყვია-წამლის შემოღების შემდეგ თოფის სროლა და თუ კი მტერი კოშკის ძირს მოუახლოვდებოდა, ეს ხვრეტი სალოდედაც (მაშიკულად) გამოიყენებოდა.

ქურდიანების კოშკი უგვირგვინოა, რაც გვაფიქრებს, რომ იგი დიდხანს იდგა უსახურავოდ, მოუვლელი და ატმოსფერული მოვლენებისაგან მას გვირგვინი მოეშალა, ან არადა საშენი ქვის საჭიროებისთვის მას ზედა წყობა მოუშალეს, რაც, სამწუხაროდ, სვანეთის დღევანდელ სინამდვილეში არც თუ ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

სვანეთის ბუნებას აქ, კოშკის წყალობით, საოცარი სილამაზისთვის მიუღწევია. ნაძვის და ფოთლოვანი ხეებით დაფარულ ენგურის ხეობის ურთიერთ დაფერდებულ ორ ვრცელ კალთებს შორის მოშხუის ენგურის აქაფებული წყალი. მის მარჯვენა ნაპირზე ვეებერთელა ქვის ლოდზე ამაყად შემომდგარა აშოლტილი კოშკი, რომელიც საუკუნეების მანძილზე დინჯად და ერთგულად ხდარაჯობს არემარეს.

იგი მნახველის ყურადღებას იპყრობს არა მარტო თავისი პროპორციულობით, არამედ თავისი ფუძე-საძირკვლითაც, რასაც წყლის ნაპირას „ობლად" დადებული ქვის ვეებერთელა ლოდი წარმოადგენს, რომელიც სვან მშენებლებს ძალიან ოსტატურად და გამჭრიახად გამოუყენებიათ. ქვითკირის ზედნაშენი ისე ოსტატურად არის შერწყმული ბუნებრივ ქვასთან, რომ იგი ერთ მთლიან დამთავრებულ კომპოზიციურ ნაძერწს იძლევა.

გარდა წმინდა არქიტექტურულ-ესთეტიური აღქმისა, რასაც კოშკი თავისი გარეგნობით ჰქმნის, იგი საინტერესოა აგრეთვე სამშენებლო მდგრადობის თვალსაზრისითაც.

სამშენებლო ხელოვნებაში ცნობილია, რომ იმ ნაგებობებს, რომლებსაც დიდ სიმაღლესთან შედარებით მცირე განივი კვეთი აქვთ, წაქცევის თავიდან აცილების მიზნით სიმძიმის ცენტრი ქვემოდ — საძირკველთან ახლოს უნდა ჰქონდეთ და უნდა ახასიათებდეთ საბავშვო სათამაშოს „ადგა-ბიჭის" თვისება, ე. ი. ჰქონდეს სულ ცერად დგომის შესაძლებლობა. ამას სათამაშოში აღწევენ ძირში გადიდებული ტვირთის მოთავსებით, ხოლო ნაგებობებში კი საძირკვლების და ხშირად საძირკვლებთან ერთად ზეძირკვლების მასივობით, ე. ი. მონოლითობით.

როგორც ვხედავთ, ზემოთ ნახსენები სამშენებლო ტექნიკის დებულება სვან მშენებლებს კარგად სცოდნიათ და მოხერხებულადაც გამოუყენებიათ. ცხადია, რომ მათ ეს ცოდნა ხანგრძლივი, საუკუნეობრივი დაკვირვების შედეგად ექნებოდათ შეძენილი.

ადგილზე დათვალიერებამ დაგვანახვა, რომ ლოდი მართლაცდა ცალკე — „ობლად" მდგომი ქვაა და არა კლდის ამოშვერილი ქიმი. მისი ზომებია უდიდეს სიგანეში 10 მ., ხოლო მდინარის ნაპირიდან 8 მ სიმაღლე აქვს.

კოშკის ქვის ბუნებრივ კვარცხლბეკთან უკეთ გადაბმის მიზნით, ქვის ლოდისათვის ზედაპირი კი არ მოუვაკებიათ, არამედ ჩაუკბეჩ-ჩაუსაფეხურებიათ და კოშკი ქვაზე გადაუჯენიათ, როგორც ცხენოსანი უნაგირზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგებობის ასეთი დასმა სავსებით უზრუნველყოფს მას თარაზულ სეისმურ ბიძგების შემთხვევაში. განივ ადგილგადანაცვლებისაგან.

ამ სტრიქონებით მკითხველს გვინდა გავაცნოთ სვანური ხალხური მშენებლობის ერთ-ერთი ხერხი. კერძოდ, თუ როგორ ხელსაყრელადაა გამოყენებული ბუნებრივი პირობები კოშკისათვის ფუძე-საძირკვლის შესაქმნელად. ამავე დროს, ინტერესსმოკლებული არ იქნება ლეგენდა,* რომელიც ქურდიანების კოშკის ფუძე - საკირკველთან არის დაკავშირებული.



ქურდიანების კოშკი, სოფ. ბოგრეში

„ტყის კაცები — დევები ძველად სვანეთში, მიუვალ ტყეებში ცხოვრობდნენ. ერთ-ერთმა დევმა, რომელიც კალის და უშგულის თემებს შორის არსებულ ტყეღრეებში ბინადრობდა, შუა-კაცები გაუგზავნა უშგულის წმ. ლამარიას და სთხოვა ცოლად წაყოლა. („ლამარია"— სვანურად წმ. მარიამს, ე. ი. „ღვთისმშობელს" ნიშნავს და ესიტყვება კათოლიკურ „მადონას", ამავე დროს უნდა ვიფიქროთ, რომ ქართული სახელი „ლამარა" — ლამარიადან უნდა წარმოდგებოდეს). ლამარიამ ეს ამბავი შორს დაიჭირა და დევს უარი შეუთვალა. დევმა ხელმეორედ გაუგზავნა შუამავლები, მაგრამ დევი მეორედაც გაწბილებული დატოვა. მან მესამედაც სცადა ბედი და ხელახლა გაგზავნა მოციქულები, თანაც შეუთვალა, თუ არ გამომყვები ცოლად, მაშინ ენგურს დავაგუბებ და დაგახრჩობო. მაგრამ მუქარამ ვერ გასჭრა

---

*. ეს ლეგენდა მოვისმინე კალის სოფსაბჭოს სოფ. ვიჩნაშის მცხოვრებ იროდი ივანეს ძე ხარძიანისაგან 1959 წ. 24 სექტემბერს. ლეგენდის ვარიანტები მოყვანილი აქვს ეგნატე გაბილიანს თავის წიგნში—„ძველი და ახალი სვანეთი". თბ. 1925 წ. გვ. 128.

და ამჯერადაც შუამავალნი უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ. გაწბილებული და გაბრაზებული დევი თავის მუქარის შესრულებას შეუდგა და ჯვიჰის [illegible] ასე უწოდებენ ადგილობრივნი ენგურის სათავეს, სადაც ენგურის ხევის დაკიდებული კალთები ერთი-მეორეს წინ გამოსოლილი არიან და მართლაცდა ციკლოპურ წყობის შთაბეჭდილებას სტოვებენ. მან მართლაც შესძლო ჯებირის აგება და წყლის დაგუბება, როცა წყალი მიადგა წმ. ლამარიას ეკლესიას, (უშგულის თემის სოფ. ჩაჟაში მდებარეობს) ლამარია შეფიქრიანდა და წმ. კვირიკეს შეუთვალა „თუ რამე შეგიძლია, მიშველეო“.

წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესია იმყოფება კალის თემის სოფ. ხეს პირდაპირ მთის კალთის მაღალ ქიმზე, რომელსაც ლაგურკას უწოდებენ და სვანეთში ერთ უძლიერეს და საყოველთაო სათაყვანო წმინდანად ითვლება. წმ. კვირიკემ შემოუთვალა — „ნუ გეშინია, შენი მხრიდან ყოჩი გამოუშვი, ხოლო მე აქედან ვაცს გამოვუშვებ და ერთიანი ძალით ჯებირს დავანგრევთ“-ო. სვანების განმარტებით, წმ. კვირიკემ ზემოდან ყოჩი იმიტომ შეარჩია, რომ ცხვარს წყლის არ ეშინია და კარგად გასცურავს, ხოლო ქვემო მხრიდან კი ვაცი, რადგან თხა კლდეზე კარგი მოსიარულეა და ჯებირს ქვემოდ ხომ სიმშრალე იყო.

მართლადაც, დათქმულ დროს ორივე მხარეს გაუშვა ყოჩი და ვაცი, ხოლო ეს უკანასკნელნი გაქანდნენ და დაეჯახნენ ჯებირს. ჯებირმა ერთობლივ იერიშს ვერ გაუძლო და დაინგრა. ლამარია დახრჩობას გადარჩა. ჯებირის ნგრევის დროს დევი იცარის მიდამოებში იყო და ჯებირისათვის მოპოვებულ ორი ქვით უკან ბრუნდებოდა. გზაში ჯებირის დანგრევა შეიტყო, გაბრაზებულმა ზურგზე მოდებული ქვები მოიქნია და ერთი მათგანი „ლაშნაში“ ენგურის მარჯვენა ნაპირზე დაეცა, რომელზედაც შემდეგში ზემოდხსენებული ციხე-კოშკი ააშენეს“.

ეს ამბავი ერთი მხრივ იმაზე მეტყველებს, რომ ძველად მშენებელ სვანებს მრავალ საუკუნოვან დაკვირვება-გამოცდილების შედეგად გამომუშავებული ჰქონიათ სამშენებლო მდგრადობის ინტუიცია, რისი წყალობითაც მათ სიმძიმის ცენტრი მკვეთრად ძირს — საძირკვლისაკენ გადაჰქონდათ, ხოლო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების შემთხვევაში მათ ოსტატურად იყენებდნენ, რითაც უზრუნველყოფდნენ მაღალი კოშკების დაუნგრევლობას და მრავალი საუკუნეების მანძილზე მათ კარგად შენახვას აღწევდნენ.

მეორეს მხრივ, იგი ეთნოგრაფიული ხასიათისაა. ლეგენდაში კეთილი და ბოროტი საქმეებია დაპირისპირებული. ხალხის სურვილით კეთილი იმარჯვებს, ხოლო ყოჩის და ვაცის მოქმედ პირთა შორის გამოყვანა, უძველესი საქმიანობის — მეჯოგეობის გამოძახილია. მეჯოგე-მწყემსს ყოჩი და, მით უმეტეს, ვაცი ფარის წინამძღოლ-მესვეურად და ძალის მაჩვენებლად ჰყავს წარმოდგენილი. ისინი ყოველთვის მოვლილი იყვნენ და ჯოგის სიამაყეს წარმოადგენდნენ.



ძელქვა, ჩხარის ეწერი, იმხნელები. 1961 წ.

ფოტო ნ. კეცხოველისა



ძელქვა. სოფ. ცაიში, 1966 წ.

ფოტო კ. ყუფუნიასი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ძელქვა

სურათზე თქვენ ხედავთ ორ ძელქვას, რომლებიც დგას სოფ. ცაისში (ზუგდიდის რაიონი) ცხელი აბანოების ტერიტორიაზე, ცხელი წყაროებისგან 50—60 მეტრის მანძილზე. ცაისში ჩაწერილი ლეგენდის მიხედვით ვენეციელებს, რომლებმაც ცხელი წყაროები აღმოაჩინეს, ამის აღსანიშნავად ამ ადგილზე სამი ძელქვა დარგეს, რომელთაგან ორი დღემდე ცოცხლობს. მესამე, ჯერ კიდევ 1955 წელს იდგა ძალზე დაბერებული. ამ უკანასკნელს ვეღარ გაუძლია ჟამთა სრბოლისათვის და ამჟამად წელს ზევით გადატეხილი მიწაზე დანარცხებული გდია.

ძელქვა თავისი წარმოშობით განეკუთვნება დედამიწის ახალი ხანის მესამე გეოლოგიურ პერიოდს, რომლის ხნოვანება 50—60 მილიონი წელია. მესამეულის პერიოდში ეს ხე ფართოდ იყო გავრცელებული. ამჟამად იშვიათობას წარმოადგენს და მოიპოვება მხოლოდ ამიერკავკასიასა და იაპონიაში. იგი ლათინურ ნომენკლატურაში ქართული სახელწოდებითაა შესული.

იგი მაგარი ჯიშის ხეა, რაზედაც მისი ქართული სახელწოდება კარგად მიუთითებს. ძელქვას სახელწოდების ორივე შემადგენელი ნაწილი (ძელი და ქვა) ეკუთვნის ქართული ენის უძველეს ხანას, როდესაც ზოგადი ქართული ენიდან ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი სვანური, ზანური და სხვა დიალექტები.

აღსანიშნავია, რომ ქართველი ხალხი ძელქვას იყენებდა საშენ მასალად და სამეურნეო იარაღების დასამზადებლად. სამეგრელოში შემონახულია სახლები, რომელთა საძირკვლის კოჭებად და სარტყლად გამოყენებულია ამ ხის ძელები. აგრეთვე ძელქვიდან ამზადებდნენ ჭიშკრის სვეტებს და დურგლის დაზგების ხრახნილიან სამჭირებს და დურგლისავე იარაღებს, სალაშინსა და სხვ. (ჭიშკრის სვეტები ივანე კალანდაძის ეზოში, სოფ. ჯუმათი, ლაშეს უბანი, იქვე ხელოსან არტემ გიორგის ძე მითაიშვილის ოჯახში დურგლის იარაღები და, სვანეთში, სოფ. ლობრაში, მულახში გიორგი მარგიანის ოჯახში (ცნობა მომაწოდა ვარლამ ართილაყვამ 1 აპრილს 1966 წ.). ამავე ხის მასალიდან მზადდებოდა სახვნელი იარაღის ქუსლი 11 კბილა 11 ეშვი (მეგრულად ჩაფულა, სვანურად ბერ). ძველ დროში, როდესაც სახვნელი იარაღი მთლიანად ხისა იყო, მისი ქუსლი მაგარი ჯიშის ხისგან უნდა დაემზადებინათ, რომ გამძლე ყოფილიყო და ადვილად არ გაცვეთილიყო.

ცნობილია, რომ სახვნელ იარაღს ლითონის სახნისი, აგრეთვე ლითონის საკვეთელი, გაუჩნდა მხოლოდ რკინის ხანაში, მანამდე მხოლოდ ხის ნაწილებისგან შედგებოდა. ასეთ ხის სახვნელ იარაღს შუმერულად (ძვ. წ. 3000 წ.) ეწოდებოდა გიშაპინ, რაც ნიშნავს ხის იარაღს. ჩვენში ძელქვისგან დამზადებულ ქუსლით

აღჭურვილ სახვნელ იარაღს ხ ა რ ს ა ჩ ა ლ ი ეწოდება (დამოწმებულია სამტრედიისა და ჩოხატაურის რაიონებში ).

ძელქვის იშვიათად შემონახული ეგზემპლარების აღრიცხვას და ფიქსაციას აწარმოებს აკად. ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი. საჭიროა ამ იშვიათი ჯიშის დაცვა და მოშენება. მას ლამაზი მერქანი აქვს და გამძლეა.

ს. ცაიშის ძელქვების სურათი მოგვაწოდა ეკონომისტმა ვახტანგ თედოს ძე სახოკიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძეგლთა მეცნიერული დაცვა-აღდგენის პრაქტიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან გვერდწითელი
არქიტექტორ-რესტავრატორი

# ანჩისხატის რესტავრაცია

ამა თუ იმ ქალაქის ხუროთმოძღვრულ სახეს, მისი ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, ჰქმნიან იმ დროს აგებული შენობები. ბევრია მსოფლიოში ისეთი ძველი ქალაქი, რომლის მშენებლობის ისტორიის წაკითხვა ადვილია, ისე სრულადაა ის წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქის ნაგებობებით, რომლებიც მის ქუჩებსა და მოედნებს ამკობენ. სულ სხვა მდგომარეობაა თბილისში. მიუხედავად იმისა, რომ მან დღემდე შემოინახა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი იერი და განუმეორებელი ინდივიდუალობა, იგი საოცრად ღარიბია ძველი ნაგებობებით. მათი რიცხვი ათსაც არ აღწევს, თუ არ ჩავთვლით XVIII და XIX სს. შენობებს. ხოლო ეს მრავალგზის გადაკეთებული და აღდგენილი ძეგლები. მცირე გამონაკლისით, სრულიად აღარ ჰგვანან იმ ნაგებობებს, რომლებიც ოდესღაც ამშვენებდნენ ჩვენს დედაქალაქს.

ასევე გადაკეთებული და გამოცვლილი იყო თბილისის ერთ-ერთი უძველესი ნაგებობა, ანჩისხატის ეკლესია, შემონახული თავისი ორი XVII და XIX სს. სამრეკლოთი, შავთელის ქუჩის №№ 5/7 სახლების მჭიდროდ დასახლებულ ეზოში.

ჯერ კიდევ 1936 წ. აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა, ეს ძეგლი გეგმისა და ზოგიერთი ელემენტის ანალიზის საფუძველზე დაათარიღა VI ს. დასაწყისით და გამოთქვა მოსაზრება, რომ ეს უნდა ყოფილიყო „მოქცევაი ქართლისაი"-ში მოხსენებული წმ. მარიამის ეკლესია, აგებული ვახტანგ გორგასლის შვილისა და მემკვიდრის დაჩის დროს, რომელსაც წილად ხვდა, მცხეთიდან თბილისში გადმოტანილ ქართლის დედაქალაქის მშენებლობის დამთავრება.

გასაგებია თუ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ ნაგებობას როგორც ქართული ხუროთმოძღვრების, ისე ქალაქ თბილისის ისტორიისათვის. ამიტომ როდესაც მზადება დაიწყო თბილისის 1500 წლისთავისათვის, ანჩისხატიც უყოყმანოდ შევიდა შესასწავლ და შესაკეთებელ ძეგლთა სიაში.

სამუშაოების დაწყებამდე ანჩისხატის ეკლესიას შემდეგი სახე ჰქონდა. თავისი გარე მასებით, ეს იყო სამნავიანი ბაზილიკა უფრო განიერი და მაღალი, ვიდრე გვერდების, ცენტრალური ნავით, რომელსაც ზევიდან დაშენებული ჰქონდა ბაზილიკისთვის და, საზოგადოდ, ქართული ძეგლისთვის სრულიად უცხო, გეგმით მრგვალი ცრუგუმბათი, ნახევრად სფერული სახურავით და ყრუ სარკმლებით. ეკლესიის დასავლეთის ფასადს თითქმის მთლიანად ფარავდა მრავალსართულიანი, ყოველგვარ მხატვრულ ღირსებას მოკლებული XIX ს. სამრეკლო. სამხრეთის ფასადს ჰქონდა ორ რიგად განლაგებული სრულიად თანამედროვე ფანჯრები და პატარა, თუნუქით აკრული კარი. ამაზე უფრო მოსაწყენი იყო მისი ჩრდილოეთის

ფასადი. მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადს ჯერ კიდევ შერჩენოდა ძველი იერი, საკურთხევლის უზარმაზარი, ნალისებური თაღიანი სარკმლის წყალობით.

ამაზე მეტად არამეტყველი და ეკლექტიკური იყო მისი შიდა ხედი. ორი წყვილი, გეგმით მრგვალი, დაბალი, გაჯით შელესილი და ზეთის საღებავით შეფე-



ანჩისხატი. 1683 წ. მხატვრობა გახსნილი 1814 წ. მხატვრობის ქვეშ

რადებული სვეტი ჰყოფდა ნავებს ერთმანეთისაგან. ყოველ წყვილ სვეტს ეყრდნობოდა სამ-სამი სხვადასხვა სიდიდის და მოხაზულობის თაღი. ეკლესიის აღმოსავლეთის ნაწილი სამნაწევრიანი იყო. ცენტრალური ნავი მთავრდებოდა გეგმით ნალისებრი აბსიდით, ნალისებურივე კონქით. აბსიდის გვერდებზე სამკვეთლო და სადიაკვნო იყო მოწყობილი, შესასვლელებით გვერდის ნავებიდან.

კონქს ჰქონდა მაღალი ვერტიკალური შუბლი. მთავარი ნავი გადახურული იყო შეისრული ფორმის კამარით, გვერდითი ნავები კი ასეთივე ფორმის ნახევარ-კამარებით.

მთავარი სივრცის კედლებს, თაღებს, სვეტების კაპიტელებს და გადახურვის კამარებს ფარავდა 1814 წ. ზეთის საღებავებით შესრულებული მხატვრობა, თავისი ნახატებით და კოლორიტით სრულიად უცხო ძველი ქართული ხელოვნებისათვის.



ანჩისხატი. გეგმა გათხრებამდე

ცენტრალური ნავის დასავლეთის ბოლოში მოწყობილი იყო ხის პატრონიკე შესასვლელით XIX ს. სამრეკლოდან. ფასადის მხრიდან ამ შესასვლელის თავზე, წყობაში ჩადგმული იყო ორი რელიეფიანი ქვა „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიციის ფრაგმენტებით.

იატაკი მოფენილი იყო ფერადი „ტომეტის“ ფილებით.

გახსნის გარეშეც ამ ძეგლს აშკარად ემჩნეოდა სამი სააღმშენებლო ფენა I. VI ს. ბაზილიკა, II. XVII ს. აღდგენითი სამუშაოები; III. XIX ს. გადაკეთებები და მინაშენები.



ანჩისხატი. გეგმა გათხრების შემდეგ

ეს უკანასკნელი ფენა ისე საიმედოდ ფარავდა ორ უფრო ძველს, რომ შეუძლებელი იყო თქმა იმისა, თუ სად მთავრდებოდა ერთი და სად იწყებოდა მეორე. ხოლო იმისთვის, რომ გაგვეგო, თუ რა იყო დარჩენილი VI საუკუნის ნაგებობიდან, საჭირო იყო ყოველგვარი მხატვრულ და ისტორიულ მნიშვნელობას მოკლებული XIX ს. ფენის თითქმის მთლიანად მოხსნა.

ამრიგად, 1958 წ. დაწყებულ პირველი რიგის სამუშაოებს ძირითადათ კვლევითი ხასიათი ჰქონდათ. ეს იყო კედლებიდან შელესილობის მოხსნა, ძეგლის შიგნით და მის გარეთ საცდელი შურფების ამოღება და XIX ს. ცრუგუმბათისა და სამრეკლოს დაშლა.

იმის შემდეგ, რაც საცდელმა შურფებმა გამოააშკარავეს VI ს. სვეტების სა-ძირკვლები და სამხრეთის მინაშენის კედლები, ძეგლზე მოწვეულ სპეციალისტთა სხდომაზე გადაწყდა იატაკის დადაბლება ძველ დონემდე და ძეგლის ირგვლივ მიწის დადაბლება დაახლოებით 1,50 მეტრის სიღრმეზე, რათა, რაც შეიძლება სრულად გამოგვეჩინა ამ ნაგებობის ყველა შერჩენილი ნაწილი.

ამრიგად, პირველი რიგის სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ძეგლი წარმოგვიდგა გაშიშვლებული წყობით, რომელზედაც კარგად ჩანდა საზღვარი ორ სამშენებლო ფენათა შორის. გამოირკვა, რომ კარგად გათლილი, დიდი ზომის მოყვითალო ფერის ტუფის კვადრებიდან VI ს. აგებული ბაზილიკისაგან დარჩენილია თითქმის ყველა კედლები, გადახურვის კამარების ქუსლების დონემდე, გარდა ცენტრალურ ნავის გრძივი კედლების დიდი ნაწილისა. სვეტებიდან დარჩენილი იყო მხოლოდ დასავლეთის წყვილის ბაზები და საძირკვლები, ხოლო ორ დანარჩენ წყვილისაგან, მხოლოდ საძირკვლები. თაღებიდან, რომლებიც ამ სვეტებს ეყრდნობოდნენ, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კედლებთან შერჩენილი იყო კაპიტელები და აშკარად გამომჟღავნებული ნალისებური ფორმის ოთხივე ნაპირა თაღის მოხაზულობის მეოთხედი, ძველი იყო აგრეთვე აბსიდის კონქიც და მის ზემოთ წყობის ერთი რიგი. ბუნებრივია, რომ მთელი ეს VI ს. წყობა ძალიან იყო დაზიანებული, ზოგიერთი მისი უბანი კი მთლიანად განადგურებულია გვიანი კარ-ფანჯრების მოწყობის დროს. მიუხედავად ამისა, მან შემოინახა უამრავი ნაშთი ძველი ელემენტებისა, რომელთა ანალიზი ამ ნაგებობის პირვანდელი სახის აღდგენის საშუალებას გვაძლევდა.

როგორც ირკვევა, ბაზილიკა XVII ს. აღდგენითი სამუშაოების დაწყებისათვის ისეთი დიდი ხნის დანგრეული უნდა ყოფილიყო, რომ მისი სახელიც კი მივიწყებული იყო. XVII ს. მოუხდათ ხელახლა აშენება: სვეტებისა (ორი წყვილის სამის მაგივრად), მათზე დაყრდნობილ თაღებისა (ძველი თაღების ნაშთების გამოყენებით), კედლების ზედა ნაწილებისა და ყველა გადახურვებისა. ყველაფერი რაც გაკეთდა XVII ს. შესრულდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ფორმებში და იმ დროს გავრცელებულ მასალით — აგურით. ეს სამუშაოები ხასიათდება სალი მიდგომით საქმისადმი და პატივისცემით ამ ძეგლის მიმართ. ამ სამუშაოების შედეგად შექმნილი შიდა სივრცე, მართალია განსხვავდებოდა ძველისაგან, მაგრამ იგი მეტად თავისებური და დიადი იყო.

სრულიად განსხვავებული მიდგომა გამოამჟღავნეს ამ ძეგლებისადმი XIX ს. მესვეურებმა. ყველაფერი რაც გაკეთდა ამ პერიოდში მიმართული იყო იმისაკენ, რომ როგორმე მიეჩქმალათ ის ძველი, რაც ჯერ კიდევ შერჩენოდა ამ ძეგლს, „გაელამაზებინათ" იგი ისეთი თანამედროვე მასალებით და ხერხებით, როგორიცაა გაჯის შელესილობა, ზეთის საღებავები, ტომეტის ფილები და ა. შ. ამავე დროს ძველ. VI ს. წყობას ულმობლად სპობდნენ ახალ შესასვლელების და ფანჯრების მოსაწყობად.

ბაზილიკის გახსნის შედეგად მიღებულმა მასალამ საშუალება მოგვცა თითქმის უხარვეზოდ აღგვედგინა მისი პირვანდელი სახე. გამოირკვა, რომ ეს იყო სამნავიანი ბაზილიკა სამხრეთის მინაშენით, აგებული კარგად გათლილი მოყვითალო ფერის ქვით. ბაზილიკას ჰქონდა სამი წყვილი — გეგმით ჯვარისებრი სვეტი. ამ სვეტების ყოველ მწკრივს ეყრდნობოდა ოთხ-ოთხი ნალისებური ფორმის თაღი. დასავლეთისა და ჩრდილოეთის შესასვლელებს ჰქონდათ ნალისებური

მოყვანილობის ღია ლიუნეტები. სამხრეთის კარს კი, რომელიც კარიბჭეში გადიოდა, ლიუნეტი არ ჰქონდა, ხოლო ფასადის მხრიდან არქიტრავზე გამოკვეთილი იყო „ჯვრის ამაღლების“ კომპოზიცია, რომლის ფრაგმენტი XVII ს. დასავლეთის ფასადის წყობაში უხმარიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთის ნავს სამი დიდი ნახევარწრიული ფანჯრის მაგივრად ჰქონია ოთხი სწორკუთხა სარკმელი. ორი მათგანი გამოჩნდა ძველი წყობის ფარგლებში შელესილობის მოხსნის შემდეგ. ძეგლი გადახურული უნდა ყოფილიყო არა შეისრული ფორმის კამარით, როგორც ახლა, არამედ ნახევარწრიული კამარით ნალისებური საბჯენი თაღებით.

და ბოლოს ბაზილიკას ჰქონდა ძალიან დამახასიათებელი ნალისებური თაღებიანი კარნიზი, რომლის ერთადერთი ნატეხი აღმოჩნდა დასავლეთ ფასადთან, მიწის დადაბლების დროს, XIV ს. საფლავების ქვეშ.



ანჩისხატი. სამხრეთის ფასადი სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ

მიუხედავად იმისა, რომ ძეგლის გახსნის შედეგად, მოპოვებულმა მასალამ საშუალება მოგვცა ნახაზებზე აღგვედგინა ბაზილიკის პირვანდელი სახე, ამის განხორციელება სინამდვილეში არ იქნებოდა გამართლებული არც მეცნიერული და, არც ეკონომიური თვალსაზრისით, რადგან XVII ს. ფენა ამ ძეგლში წარმოადგენდა გარკვეულ, მნიშვნელოვან საფეხურს მის ისტორიაში და იყო მეტად დიდი, როგორც რაოდენობით, ისე კონსტრუქციული მნიშვნელობით. ამიტომ რესტავრატორების წინაშე მდგარი ამოცანა შეიზღუდა VI ს. წყობის ფარგლებში შემონახულ კარ-სარკმლების აღდგენით და წყობის დაზიანებული ადგილების გამაგრებით, სახურავის შეკეთებითა და ძეგლის კეთილმოწყობით.



ანჩისხატი. დასავლეთის ფასადი აღდგენა-გამაგრების შემდეგ

იატაკის დაგების დროს, ის ადგილები, სადაც ძველი სვეტების საძირკვლები ჩანდა, ღიად იქნა დატოვებული, რათა მნახველებს თვითონვე დაენახათ ამ ძეგლის პირვანდელი გეგმა.

სამხრეთ მინაშენის კედლებს კი, რომლებშაც მხოლოდ წყობის 1 ან 2 რიგი შეინარჩუნეს, ზევიდან დაემატა წყობის ერთი დაბალი რიგი, რომელიც მათ ნგრევისაგან დაიცავდა.

საუბედუროდ, ამ მინაშენ.ის აღმოსავლეთის ბოლოზე დაშენებული ერთოთახიანი კერძო სახლი საშუალებას არ იძლევა ბოლომდე; დავადგინოთ ამ მინაშენის მეტად არაჩვეულებრივი და საინტერესო გეგმა. გარდა ამისა, ეს სახლი თავისი ბაღით ძალიან აძნელებს წვიმის წყლის გადაყვანას ძეგლის ტერიტორიიდან, ხოლო ამ ბაღში მოწყობილი წყალსადენის ონკანი და კანა.ლიზაციის უქონლობა, ნამდვილ საფრთხეს წარმოადგენს ამ ძეგლის კეთილდღეობისათვის.

უკეთაა საქმე XVII ს. სამრეკლოს ჩრდილოეთით მდებარე სახლის მობინადრეების გასახლების მხრივ. მათ უკვე მიიღეს ბინები და, იმედია, სულ მოკლე ხანში ამ შესანიშნავი ძეგლის მთავარი მისასვლელიც წესიერ სახეს მიიღებს.

ამრიგად, ე. წ. ანჩისხატის ეკლესიაზე ჩატარებული კვლევითი და სარესტავრაციო სამუშაოების წყალობით, ქალაქ თბილისს შეემატა VI ს. დასაწყისში აგებული ძეგლი, მთელი მისი დედაქალაქობის ისტორიის უსიტყვო მოწმე, რომელიც ამ თოთხმეტ ნახევარ საუკუნის მანძილზე მასთან ერთად ინაწილებდა ავსაც და კარგსაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივ. ჯავახიშვილი
აკადემიკოსი

# ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას— მოხსენება[1]

ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობამ[2] და ქართველმა მხატვრებმა საქართველოს საისტორიო საზოგადოების გამგეობასთან ერთად დიდი და საშვილიშვილო საქმე დაიწყეს მით, რომ ქართულ ძველ მხატვრობის ნაშთების გადარჩენა და გადმოღება იკისრეს. აღფრთოვანება და საქმისადმი უანგარო სიყვარული, რომლითაც მთელის თავის არსებით ნაბახტევში დაუღალავად მომუშავე მხატვრები (ბ. ბ. ლ. გუდიაშვილი, გ. ერისთავი, მ. თოიძე და მისი ვაჟი ერეკლე, მ. ჭიაურელი და დ. შევარდნაძე) გამსჭვალულნი არიან, დაწყობილ დიად საქმის ნაყოფიერების სრული თავსმდებია. საჭიროა მხოლოდ შესაფერისი, დროული ხელის შეწყობა და ამას გარდა გარკვეული, მიზანშეწონილი და კარგად გათვალისწინებული სამოქმედო გეგმა.



ამ პატარა მოხსენებით მეც ჩემს თავს ნებას ვაძლევ ასეთი

---

[1]. ვაქვეყნებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის დიდად საყურადღებო მოხსენებას ქართული კულტურის ძეგლების დაცვის, შეგროვებისა და შესწავლის შესახებ, რომელიც დაწერილია 50 წლის წინათ.

მოხსენება გადმოსცა რედაქციას აკად. კ. კეკელიძის სახ. ქართული ხელთნაწერების ინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის სახ. კაბინეტმა. მოხსენება იბეჭდება დედნის მიხედვით უცვლელად. (რედ.)

[2]. ქართველ ხელოვანთა საზოგადოება ჩამოყალიბდა 1911 წ. მხატვარ დიმიტრი შევარდნაძის ხელმძღვანელობით. მოქმედება დაიწყო 1912 წლიდან. საზოგადოების კომიტეტის პირველი თავმჯდომარე იყო გიორგი (გიგი) დურმიშხანის ძე ქურული. მდივანი—იოსებ გეგელაშვილი. იარსება საზ-ბად გასაბჭოებამდე და შემდეგ გადაკეთდა ხელოვანთა კავშირად. ამის საფუძველზე ჩამოყალიბდა ხელოვნების მუზეუმის ფონდი და ბიბლიოთეკა. (რედ.)

მომავლისათვის საჭირო სამოქმედო გეგმა შეძლებისდაგვარად გამოვარკვიოთ და ქართველ ხელოვანთა საზოგ. გამგეობასა ვთხოვ განიხილოს იგი და [illegible] ჯეროვან მსჯელობის შემდგომ თავისი სამოქმედო გეგმა შეიმუშაოს, ხოლო შემდეგ მის განხორციელებას შეუდგეს.

ცნობილია, რომ ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას ერთ-ერთ მთავარ მიზნად ქართული რიგის ხელოვნებისა და შემოქმედების აღდგენა აქვს დასახული.

ამ მიზნის მიღწევა და განზრახულ წადილის განხორციელება სამის გზით შეიძლება: 1. ჯერ ერთი, ქ-ლ ხელოვნების ძველი ძეგლების შეგროვებით, შენახვით და მეცნიერულ-მხატვრული შესწავლით; შემდეგ 2. თანამედროვე ქ-ლ ეთნოგრაფიული მასალების (შინამრეწველობის სხვადასხვა დარგის საგნების, ავეჯეულობის, ჭურჭლეულობის და ნიმუშების) შეგროვებით და შესწავლით, დასასრულ 3. ყოველი ხელოვნების უპირველესისა და დაუშრეტელი წყაროის — საქართველოს დიად ბუნების მხატვრული დაკვირვებითა და შემოქმედებითი აღბეჭდვით.

სამივე ზემოაღნიშნული გზა ქ-ლ ხელოვნების აღორძინებისა და აყვავებისათვის ერთნაირად და თანასწორად არის საჭირო, რომ მრავალტოტებიან ბუმბერაზ კაკლის ხესავით ქ-ლ განახლებულ ხელოვნებას ფესვები ღრმად და მაგრად ჰქონდეს გამდგარი, თანაც იმ მრავალფეროვანებისა და თავისებურობით იყოს შემკული, რომელიც ყოველ ხელოვნებას დაუშრეტელს მშვენიერებას და ფასდაუდებელ ღირებულებას ანიჭებს ხოლმე.

საქართველოს ბუნებისა და მცხოვრებთა მხატვრული დაკვირვება და აღბეჭდვა წმინდა ხელოვანთა საქმეა და ამ დარგში თვით ქართველ მხატვრებმა უნდა გამოარკვიონ, რა და რა ხელშემწყობი დაწესებულება და სად უნდა შეიქმნას, ან რა ღონისძიება უნდა იყოს ნახმარი, რომ ამ მიზანს საუმჯობესოდ მიაღწიონ.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ქ-ლი შინამრეწველობის ნიმუშების შეგროვება ქ-ლ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც[1] აქვს თავის მთავარ მიზნად დასახული და ნაწილ-ნაწილ საჭირო მასალებს აგროვებს კიდეც. ამიტომ ამ დარგში ქ-ლ ხელოვნებათა საზოგადოებამ ხსენებულ საისტორიო საზოგადოებასთან შეთანხმებით უნდა იმოქმედოს, რომ ორმა საზოგადოებამ ერთსა და იმავე საგანს ტყუილ-უბრალოდ არ შეალიოს თავისი ძალა.

ხოლო რაც ქ-ლ შინამრეწველობის აღდგენას შეეხება, ეს როგორც ვიცით ქ-ლ სამეურნეო საზოგადოებასაც[2] აქვს თავის ერთ-ერთ მოვალეობად მიჩნეული, ამიტომ ამ დარგში საქმის ნაყოფიერებისათვის აუცილებლად საჭიროა ქ-ლ ხელოვანთა საზოგადოება ქ-ლ სამეურნეო საზოგადოებასთან წინასწარვე შეთანხმდეს.

---

[1] ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დაარსდა 1907 წ. მისი პირველი თავმჯდომარე იყო ექვთ. თაყაიშვილი.(რედ)

[2] ქ-ლი სამეურნეო საზოგადოება 1915 წ. ჩამოყალიბდა. თავმჯდომარე იყო დიმიტრი ჩოლოყაშვილი. იარსება გასაბჭოებამდე (რედ).

თვით მომავალი მოქმედებაც ამ დარგში ზემოაღნიშნულ ქ-ლ სამ საზოგადოებას შორის შესაფერისად უნდა იყოს განსაზღვრული და განაწილებული, რომ მათ ეს საქმე თუმცა ცალკ-ცალკე, მაგრამ მაინც თანხმობრივ და შეერთებულის ძალით ღირსეულად განახორციელონ.

ამ დარგში სამოქმედო ასპარეზის განსაზღვრა ამგვარად შეიძლებოდა: საისტორიო-საეთმოგრაფიო საზოგადოება საქართველოს ყოველ კუთხეში საეთნოგრაფიო მასალებს და შინამრეწველობის ნიმუშებს შეაგროვებდა და თავის მუზეუმში თავს მოუყრიდა, რომ მათი შესწავლა ყველასათვის ადვილი იყოს. რასაკვირველია, ამისთვისაც შემკრებთათვის ცალკე სამოქმედო გეგმისა და სახელმძღვანელო დარიგების შედგენაა საჭირო.

ქ-ლ ხელოვანთა საზოგადოებამ თავის მხრივ უნდა ამ მასალების მხატვრული შესწავლა იკისროს მოყვანილობისა და სახეების მხრივ და თანაც ქართული მხატვრული შინამრეწველობის განახლებისათვის საჭირო სახეების ნიმუშები და სამაგალითო ესკიზები შეადგინოს.

ხოლო ქ-ლ სამეურნეო საზოგადოებამ უნდა საეთნოგრაფიო მასალების და შინამრეწველობის ნიმუშების ტექნიკური შესწავლა იკისროს: ნამუშევარის მასალის თვისებები და ხელოსნური ტექნიკა, მათი ღირსება-ნაკლოვანება გამოკვლიოს და თანაც ქ-ლი მხატვრული შინამრეწველობის განახლების და შესახები ყველა ტექნიკური საკითხებიც გაითვალისწინოს და მათი საბოლოო განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური მხარეც გამოარკვიოს.

უფრო ვრცლად აქ ამ საგანზე ლაპარაკი უადგილო იქნებოდა და ამისათვის განსაკუთრებული მსჯელობაა საჭირო. ახლო მომავალში შინამრეწველობის ერთი დარგის აღდგენის შესახებ აზრად მაქვს ქ-ლ ზემოაღნიშნულს სამსავე საზოგადოებას განსაკუთრებული მოხსენება წარმოვუდგინო და იქ განხილული იქნება, თუ როგორ შეიძლებოდა მაგალითად, ამ დარგში სამოქმედო ასპარეზების განსაზღვრა და შეერთებულის ძალით ერთ საზოგადო საქმის განხორციელება.

ქ-ლ ხელოვანთა მიერ თავის მიზნად დასახული საქმე — ქ-ლი ძველი მხატვრობის ნაშთების გადარჩენა-გადმოღება-გადმოხატვა და შესწავლა თუმცა ქ-ლ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებასაც აქვს თავის მთავარ მიზნად მიჩნეული, მაგრამ თუ ნაშთების შეგროვებისა და გადარჩენისათვის ყველაზე საუკეთესო ამ ორ საზოგადოების შეერთებული შრომა იქნებოდა, მხატვრობის გადმოღება, ან გადმოხატვა და იმ ძეგლების მხატვრული ღირსების შესწავლა, ხელოვნების მხრივ დაფასება კი — სწორედ ქ-ლ ხელოვანთა საზოგადოების წმინდა მოვალეობაა და აქ მას ვერვინ გაუწევს მეტოქეობას.

შესწავლას, რასაკვირველია, ხელოვნების ძეგლებას მიმოხილვა და აღწერა უძღვის ხოლმე წინ. ამგვარი წინასწარი შრომა ბევრ ნაშთის შესახებ უკვე მოიპოვება და ისტორიკოსების მიერ არის გაწეული, თუმცა უფრო ისტორიულ-არქეო-

ლოგიური თვალსაზრისით ვიდრე ხელოვნების მხრივ. ამიტომ საჭიროა ყველა ცნობილი ძეგლების ხელახლად დათვალიერება, დაუთვალიერებლისაც ნახვა და აღნუსხვა, თანაც მათი შედარებითი შეფასება, როგორც ხელოვნების მხრივ, აგრეთვე იმ მიზნით, თუ რომელი კედლის მხატვრობა ან ქანდაკებაა იმდენად დაზიანებული და ახლო მომავალში უეჭველად განადგურდება, თუ რომ დროზე ან შემაგრებული, ან გადმოღებულ-გადმოხატული არ იქნა.

შენახული მხატვრობის ძეგლების შედარებითი სიმრავლე და მუშაკთა და ქონებრივი სახსრის სიმცირე, გვაიძულებს ეს დიადი და საშვილიშვილო საქმე, რომლის განხორციელებაზე სხვა ქვეყნებში თვით მთავრობა ზრუნავს და ამისთვის არავითარს ხარჯს არ ერიდება, ჩვენში კი — კერძო პირთა და სამეცნიერო-სახელოვნო საზოგადოებათა გარდა გულშემატკივარი და მზრუნველი არავინა ჰყავს,— თანდათანობით განხორციელებული იქნეს.

ამ გარემოების გამო, რომ ქ-ლ ხელოვანთა და საისტორიო საზოგადოებათა შეერთებული შრომა უფრო ნაყოფიერი გამოვიდეს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, წინასწარ სამოქმედო გეგმის შედგენაა საჭირო. ამ გეგმის შემუშავების დროს ჩვენ უნდა შემდეგის სამის მთავარ მოსაზრებით ვიხელმძღვანელოთ:

1. ჯერ გამოვხატოთ, ან გადმოვიღოთ ისეთი ძეგლები, რომელნიც განსაცდელში არიან და რომელთა გადარჩენისათვის დაუყოვნებლივ ზრუნვა გვჭირია. ისეთი ძეგლები, რომელნიც შედარებით უზრუნველყოფილნი არიან საჭიროებისამებრ შევამაგროთ ან კარების შებმით, ან დაკეტვით, ან მცველის მიჩენით, ხოლო მთელი ჩვენი გულისყური განსაცდელში მყოფ ძეგლებს მივაპყრათ.

2. როდესაც ყველა ამგვარი ძეგლი გადარჩენილი გვექნება, ან ეხლაც თუკი რაიმე ხელსაყრელი გარემოება შეგვხვდება და რომელიმე შესაფერისად გამოცდილი ქართველი მხატვარი, ან ხელოვანთა მთელი ჯგუფი საამისოდ მოცლილი იქნება, მაშინ უნდა ქ-ლი ხელოვნების ძეგლების წესიერ შესწავლასა და გადმოღება-გადმოხატვას შევუდგეთ.

რაკი ბევრი ქართული მხატვრობის შესახებ არც ქრონოლოგიური ცნობები მოიპოვება, არც მათ ღამხატავთა ვინაობა ვიცით, ამიტომ მხატვრობის შესწავლა მეთოდოლოგიურად სწორად უნდა მოეწყოს და თავდაპირველად ისეთი ნახატების შესწავლით დავიწყოთ, რომელთა შესახებაც გარკვეული ქრონოლოგიური ცნობები მოგვეპოვება, ან რომელთა დამხატავნი ცნობილნი არიან, ხოლო შემდეგ უთარიღო და უცნობ მხატვართა ნაწარმოებების შესწავლას მივყოთ ხელი.

3. ქ-ლი ხელოვნების ძეგლების შესწავლისა და გადმოღება-გადმოხატვის დროს ისტორიულ ქანდაკებებსა და ისტ. მხატვრობას უნდა განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ და თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ იმიტომ, რომ თითქმის ყოველთვის თვითეული ისტორიული ქანდაკება, ან ისტ. მხატვრობა უნიკალურია და ჩვეულებრივ, მხოლოდ თითო ცალად მოგვეპოვება. ამის გამო თვითეული ამგვარი ძეგლის დაღუპვა ვეღარაფრით ვერ იქნება აღდგენილი და დანაკლისს ვერაფრითაც ვერ ავანაზღაურებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ამ სამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი, როდესაც ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას ვურჩიე ამთავითვე ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობისათვის მიექცია ყურადღება და დაღუპვისაგან გადაერჩინა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ნაბახტევის ეკლესიის კედლის მხატვრობა უკიდურეს განსაცდელშია და უკვე საგრძნობლად არის დაზიანებული. ხოლო რაკი ეკლესიას ჭერი აღარა აქვს და წვიმა აჟუჟებს, მხატვრობა ახლო მომავალში შეიძლება მთლად ჩამოცვივდეს კიდეც, როგორც იქვე უკვე ჩამოცვივნულია ალექსანდრე მეფეთ-მეფისა და მისი თანამეცხედრის სურათების მომეტებული ნაწილი, ან როგორც ქუცნა ამირეჯიბის მთელი ქვედა ნაწილია ჩამოცლილი.

ხოლო უკვე აღნიშნული იყო, რომ ასეთს ძეგლებს ჩვენ ქართველნი თვალისჩინისავით უნდა გავუფრთხილდეთ.

მაგრამ ქ-ლ თანამედროვე ხელოვნების აღორძინებისათვის და ქ-ლი ძველ ხელოვნების შესასწავლად მარტო ძველ ქ-ლ კედლის მხატვრობის შენახვა და გამოკვლევა კი არა კმარა, არამედ მრავალმხრივი ქ-ლ ხელთნაწერებში შენახული ნახატების განხილვა და მხატვრული-მეცნიერული შესწავლაც არის აუცილებლად საჭირო. მხოლოდ ამ შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ქ-ლ ძველი მხატვრული ხელოვნების სრული ისტორიის მეცნიერული გამოკვლევა და მისი თანდათანობით განვითარების მთლიანი და ყოველმხრივი სურათის აღდგენა: ზამთარში, ძველ, მიტოვებულ ეკლესიებში ჩვენი მხატვრები სიცივის გამო მუშაობას ვერ შესძლებენ და მაშასადამე, მოცლილნი იქნებიან.

სამაგიეროდ, ძველ ხელთნაწერების ნახატების შესწავლა და გადმოხატვა ზამთარში ადვილად და კარგად მოხერხდებოდა, იმიტომ რომ მომეტებული ხელთნაწერთაგანი ტფილისის ქ-ლ სამს მუზეუმშია[1] დაცული. ერთი სიტყვით, საქმისათვის ფრიად ხელსაყრელი იქნებოდა, რომ ორი სამოქმედო გეგმა ყოფილიყო შემუშავებული, ერთი კედლის მხატვრობისათვის, ხოლო მეორე ხელთნაწერების, ნახატების შესასწავლად, — თანაც ერთი ზაფხულ-შემოდგომის მუშაობისათვის იქნებოდა განკუთვნილი, ხოლო მეორე უფრორე ზამთარ-გაზაფხულისათვის.

კედლის მხატვრობის გადმოხატვა-გადარჩენის შესახებ ზევით საუბარი უკვე იყო, ეხლა, მაშასადამე, მხოლოდ ხელთნაწერების ნახატების შესწავლაზე დაგვრჩა ორიოდე სიტყვა სათქმელი.

ამგვარი მუშაობა და შესწავლა ეხლა, როდესაც ქ-ლი სამივე მუზეუმი ერთ შენობაშია დაბინავებული, გაადვილებულია.

ხელთნაწერების მხატვრობის (დედანშია მხატვრულის) შესწავლას ამ შემთხვევაშიაც უნდა მათი საზოგადო განხილვა და აღწერილობა უძღოდეს წინ, თუმცა შეიძლება ჩვენმა ხელოვანებმა ამ ხელთნაწერების უკვე არსებული აღწერილობებითაც ისარგებლონ და იხელმძღვანელონ. აქაც ქრონოლოგიურად კარგად ცნობილი და თარიღიანი ხელთნაწერების შეს-

---

1. იგულისხმება—საქ. საისტ. საეთნ. საეკლესიო და წერა-კითხვის საზ-ბის მუზეუმები.

წავლა უთარიღო ხელთნაწერებისას უნდა წინ[illegible]დეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელთნაწერების მხატვრული შესწავლა სამ სხვადასხვა მიზნით შეიძლება: 1. ჯერ ერთი, ხელთნაწერებში მოთავსებული ნახატების განხილვა და გამოკვლევა, როგორც ხელოვნების ძეგლებისა. მათი შედარებითი ღირსება-ნაკლის დაფასება საზოგადო მოხაზულობის (კომპოზიციის) მხრივაც და მოხაზულობისა, ფერადიანობისა და სხვა ტექნიკური მხარეების შესასწავლადაც, დასასრულ მათი სადაურობის გამოსარკვევად. ხელთნაწერების ნახატების ამგვარი შესწავლა ქ-ლ ძველი კედლის მხატვრობის წესიერ და ყოველმხრივ შესწავლისთვისაც აუცილებლად საჭიროა და სასურველიც კია, რომ ქ-ლი მხატვრული ხელოვნების ეს ორივე დარგი შეძლებისამებრ თანასწორად იყოს შესწავლილი, რომ თვითეული ამ დარგთაგანის შესწავლის წარმატება ერთიმეორისაგან კვლევას დააწინაურებდეს ხოლმე. 2. ქ-ლი ხელთნაწერები მკვლევარს შეუძლია კამარათა მწერლობის და სხვადასხვა არშია-სახეების მხრივაც შეისწავლოს, როგორც მათი საზოგადო მოხატულობისა, ისევე სახეების მოხაზულობისა და ფერადიანობის განვითარება-დაქვეითების მხრივაც, რასაკვირველია, მათი ქრონოლოგიურად დალაგება-განხილვით და სადაურობის გამორკვევითაც. ხელთნაწერების ნახატების ამ დარგის შესწავლა ქ-ლ ჩუქურთმების, კედლის მხატვრობისა და ხელოვან ოქრომჭედლობის არშიებისა და სახეების შესწავლასთან არის დაკავშირებული და მათი შედარებითი განხილვა ფრიად ნაყოფიერი იქნება ქ-ლ ხელოვნების ისტორიისათვის. ამასთანავე ამ დარგის შესწავლა ქ-ლ მხატვრულ წინასწარ სამუშაოდ უნდა იყოს მიჩნეული.

3. დასასრულ, ქ-ლ ხელთნაწერების განხილვას მკვლევარი შეიძლება სამწიგნობრო ხელოვნების შესასწავლადაც შეუდგეს, რომ ქართული მხატვრული ანბანისა და სხვადასხვა ხელის (საზენაო, ხუცური და მხედრული, ასომთავრულისა და დაქსელილის და სხვათა) განვითარება გამოირკვეს, წიგნების მხატვრული კაზმის ხელოვნება, ტყავის ყდებისა და საწიგნეების მოყვანილობა და სახეები შესწავლილი იყოს. ყველა ამ საკითხების გამოსარკვევად შედგენილ სამუშაოდ სახელმძღვანელო გეგმა შეიძლება და სასურველიც კია, რომ უფრო ზედმიწევნითი და მკაფიო იყოს, მაგრამ მაშინ თვითეული დარგის კერძოობითი განხილვა დაგვჭირდებოდა, — ჩემი მიზანი კი იყო ამ მოხსენებით ქართველ ხელოვანთა საზოგადოების მხოლოდ საზოგადო სამოქმედო გეგმა შეძლებისამებრ გამომერკვია.

თუმცა გეგმა იმდენად ფართო და რთული გამოვიდა, რომ ზოგმა იქნებ იფიქროს კიდეც, სად შეგვიძლიან ჩვენ ამისთანა გეგმის განხორციელება, სადა გვაქვს ამოდენა ძალ-ღონეო? მაგრამ ასეთ პირთ უნდა ახსოვდეთ, რომ ზემომოყვანილი გეგმა ერთბაშად არ უნდა განხორციელდეს და ერთის ადამიანის მიერ კი არა, არამედ თანდათანობით და შეერთებულის ძალით. თუ ამისდა მიუხედავად სამოქმედო გეგმა ეხლავეა შედგენილი, მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველ ხელოვანთა საზოგადოების გამგეობას თავისი მიზანი და სავალი გზა მუდამ თვალწინა ჰქონდეს და საზოგადოების მომავალმა მუშაობამ წინასწარ გათვალისწინებული და მიზანშეწონილი გეგმით უაღრესი ნაყოფი მოგვიტანოს. ჩვენ ქართველები მეცნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებისა და ხელოვნების ამ დარგში დანარჩენ განათლებულ ერებს ისე ჩამოვრჩით, რომ მხოლოდ ასეთ მეთოდურ შრომითა და მთელი ჩვენი ძალღონის მოკრებით და მობილიზაციით თუ შევძლებთ, რომ სხვა განათლებულ ერებს დავეწიოთ.

ჩემდა სასიხარულოდ ნაბახტევში ქ-ლ მხატვართა ნამუშევარის დათვალიერებამ და მათთან ერთად ატენის სიონის გაშინჯვის დროს უფრო მახლობელმა გაცნობამ და მოლაპარაკებამ დამარწმუნა, რომ ზემოაღნიშნულ ქართველ მხატვართ გულწრფელი სიყვარულითა და გატაცებით უყვართ თავიანთი საქმე. ნაბახტევში ბინისა და ცხოვრების პირობების მოუწყობლობისადა მიუხედავად, მაინც მხნედ და დაუღალავად მუშაობენ, ხოლო ძველი კედლის მხატვრობის გადმოხატვის დროს თავიანთ საქმეს იმდენად სინდისიერად და თავიანთ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის ისეთი შეგნებით ასრულებენ, რომ უკეთესად არ იქნება. ამასთანავე მათ შორის სრული თანხმობა სუფევს და მათ საერთო მისწრაფებას მწყობრი მუშაობა აგვირგვინებს. სასიამოვნოა, რომ ქ-ლ საზოგადოებას ასეთი მხნე და საქმის გულწრფელი მოტრფიალე, შეგნებული ხელოვანნი ჰყავს. ეს გარემოება ნათლად გვიმტკიცებს, რომ თუ ჩვენ მათ ხელი შევუწყვეთ, ქართულ ძველ კედლის მხატვრობის გადმოღება-გადმოხატვას მაინც შევძლებთ და ამით მაინც ქ-ლ მეცნიერებასა და ხელოვნებას ფასდაუდებს განძს შევუნახავთ. ქართველმა საზოგადოებამ უნდა ასეთ იშვიათ და კარგ შემთხვევით ისარგებლოს და ყოველი ღონე იხმაროს, რომ ზემოაღნიშნულ პირთა მუშაობა და ასე ჩინებულად დაწყებული საშვილიშვილო საქმე შეუფერხებელ მიმდინარეობდეს.

ამით ვათავებ ქართულ ძველი მხატვრობის შესასწავლად შედგენილს სამოქმედო გეგმას და საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ამ გეგმაში ქ-ლი ხუროთმოძღვრება განგებ არის გამოტოვებული. ხუროთმოძღვრების მრავალრიცხოვან ძეგლების მეცნიერული შესწავლა დიაღაც რომ აუცილებლად საჭიროა, მაგრამ ეს საგანი ცალკე და განსაკუთრებით უნდა იყოს განხილული.

სასურველია აგრეთვე, რომ დროგამოშვებით, როდესაც რომელიმე ძეგლის მხატვრული შესწავლა, ან მარტო მხატვრობა ან ნახატები იქნება გადმოხატულ-გადმოღებული ქართველ ხელოვანთა საზოგადოების საჯარო სხდომა გაიმართებოდეს, რომელზედაც ნამუშევარის ანგარიში და შესწავლის შესახებ მოხსენება იქნება ხოლმე წაკითხული, თანაც მთელი ნამუშევარის და გადმოხატულის გამოფენა უნდა მოეწყოს ხოლმე. მაშინ ქართველი ფართო საზოგადოებაც, ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა და ქართველ ხელოვანთა დიდს ღვაწლს დააფასებს და ჩვენი, ძველი ხელოვნების მნიშვნელობასა და მაღალ ღირსებას თავისი თვალით დაინახავს. ამ გზით ეს საქმე ეროვნულ ღირებულებად იქცევა და მთელი ქართველი ერის თანაგრძნობას მოუხვევს ჩვენ ხელოვანთა ჯერ კიდევ ნორჩს საზოგადოებას.

ამ საზოგადო სამოქმედო გეგმის განხილვის შემდგომ ჩემს თავს ნებას მივცემ ამ გეგმის პრაქტიკულ განხორციელებასაც ცოტაოდნად შევეხო.

რაკი ამჟამად ეპისკ. ანტონის თაოსნობით შესაძლებელია დიდის ხნის ნატვრა განხორციელდეს და ნაბახტევის ეკლესიას ჭერი გაუკეთონ, კარები შეაბან და თვით შენობაც იმდენად შეაკეთონ, რომ შერჩენილი მხატვრობა მაინც მომავალში აღარ დაზიანდეს და დაცულ იქნას, ამასთანავე რაკი ქ-ლ ხელოვანთა საზოგადოების გამ-

გეობისა და ზემოდასახელებულ მხატვართა სამაგალითო შრომის წყალობით საისტორიო მხატვრობა მთლად, ხოლო საეკლესიო მხატვრობისაგან უმთავრესი [illegible] ცხოვოდ გადმოხატულია, ეხლა ჩვენი მოვალეობაა მთელი ჩვენი ყურადღება და მზრუნველობა ნაბახტევზე უფრო შესანიშნავს ძეგლის, ატენის სიონის, ქანდაკებებსა და კედლის მხატვრობას მივაქციოთ.

უკანასკნელი დათვალიერების დროს, 17 ივლისს, დავრწმუნდი, რომ ატენის სიონის საცვარე რამდენსამე ადგილას უკვე ჩამონგრეულა, სხვათა შორის, აღმოსავლეთის კედელსაც ერთგან საცვარე უკვე ჩამოცლილი აქვს, ხოლო ეს გარემოება დიდს საფრთხეს უმზადებს ატენის დიდებულ ტაძრის გარეთა კედლების ისტორიულ ქანდაკებებს, ამათ შორის: ეკლესიის პირვანდელ აღმშენებელთა შესანიშნავს ქანდაკებებსაც.

ამას გარდა, ეკლესიაში შიგნითაც შენახული განთქმული კედლის მხატვრობა, ქ-ლი ხელოვნების ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი, დიდს განსაცდელშია: მრავალ ადგილას გალესილობა უკვე კედელს მოშორებია და მცირედი შერყევა ან ხელის შეხება ამ ადგილებს ჩამოანგრევს და ამ შესანიშნავ მხატვრობას სამუდამოდ დაგვილუპავს. განსაკუთრებით საისტორიო სურათები და შენობის მარჯვენა ჯვრის ტოტში შენახული საეკლესიო მხატვრობაა დაზიანებული.

რადგან ატენის სიონის მხატვრობას ქართული მხატვრობის განვითარებისა და ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ხოლო ამავე ტაძრის გარეთა კედლების ქანდაკებანი, მეტადრე საისტორიო ქანდაკებანი ძვირფასი ძეგლებია ქართული ტანისამოსისა, თავსაბურავის და ფეხსაცმლის ისტორიის შესასწავლად, ხომ შეუდარებელ და იშვიათ განძად უნდა ჩაითვალოს, ამიტომ, სასურველია, რომ ქართველ ხელოვანთა და საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ საამისოდ საკმაო ფული გადასდოს და ქართველ მქანდაკებელთ და მხატვრებს ზემოაღნიშნულ ძეგლების გადმოღება-გადმოხატვა მიანდოს.

ქანდაკებათა ჯერ ყალიბების გაკეთებაა საჭირო, ხოლო შემდეგ ჩამოსხმა იმავ ფერად, რა ფერისაც თვით ქანდაკებანი არიან. მხატვრობა ფოტოგრაფიულადაც უნდა იქნეს გადმოღებული და, რასაკვირველია, ფერადებითაც გადმოხატული.

მეუღლეები: ალექსანდრე ივანეს ძე და მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურ-ორბელიანნი, როგორც თვით განაცხადეს, დიდი სიამოვნებით დაუთმობენ ქართველ მხატვრებს თავიანთი სახლის ორ ოთახს, სანამ ისინი ატენში იმუშავებენ. შემოდგომა, მაშასადამე, მათ შეუძლიათ ატენში გაატარონ და ატენის სიონის ქანდაკებათა ყალიბები გააკეთონ და გადმოსახატავადაც გადაიღონ. წლის დამლევამდის ალბათ ბევრი მეტი ველარაფერი მოესწრება, მაგრამ თუ ზემო აღნიშნულმა ხელოვანებმა უფრო ადრეც მოიცალეს, სასურველია ჯვრის მონასტრის განთქმულ ისტორიულ ქანდაკებებსაც მივაქციოთ ყურადღება. თუმცა ეს ძეგლი სხვებზე უფრო უზრნუველყოფილია, მაგრამ მასაც დრო და წვიმა — ქარი აფუჭებს. განსაკუთრებით ქანდაკებანია დაზიანებული, რომელთაც თვითეულის მოხაზულობის წარხოცა საისტორიო მეცნიერებისათვის და მეტადრე ტანისამოსისა და თავსაბურავის ისტორიისათვის აუნაზღაურებელი დანაკლისია. ამიტომ, სანამ ჯერ კიდევ დაგვიანებული არ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგი იყო ამ ქანდაკებების ყალიბები გადაღებული-
დო და შემდეგ ჩამოსხმული ქართულ საისტორიო სა-
ზოგადოების მუზეუმში ყოფილიყო დაცული.

მოვაგონებ აგრეთვე ქართველ ხელოვანთა საზოგადოებას, რომ ქ. თელავში ქართულ სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის ერთი იშვიათი ძეგლი მოიპოვება, მეფე ერეკლეს სასახლეს ნაშთი, რომელშიაც ეხლა ქალთა წმინდა ნინოს სასწავლებელია დაბინავებული. ამ სასახლის თავდაპირველ ნაშენობისაგან ალაყაფის კარების ორი კოშკი ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებლივ არის შენახული. ერთს კოშკთაგანში შიგნით კედლის ფერადი მხატვრობაა შერჩენილი, ხოლო თვით ეზოში მეფის აბანოს კედლის ფერად არშიების თუმცა ძლივსღა, მაგრამ მაინც სახეობის მოხაზულობა მოჩანს. რაკი სამოქალაქო ხუროთმოძღვრებისა და არშიების ნიმუშები ცოტაღა შეგვრჩა, აუცილებლად არის საჭირო ეს მცირეოდენი ნაშთი მაინც სამუდამო დაღუპვისაგან გადავარჩინოთ, ან გადმოვხატოთ მაინც.

კახეთის რკინიგზით ქ. თელავში ასვლა ადვილია, სამუშაოც ბევრი არაფერია და ერთ კვირაში გაკეთდება.

ამას გარდა უეჭველად ეხლავე უნდა ვიზრუნოთ, რომ ყინცვისის ტაძარს, ნეკრესის ეკლესიას, შილდაში და გარესჯის ეკლესიებში, სადაც კი საჭიროა, კარები შევაბათ, ან სხვანაირად დროებით დავხშათ და იქ შენახულ მხატვრობას მოვუაროთ, ხოლო შემდეგში ამ ძეგლების სამუდამოდ შენახვისთვისა და მხატვრობის შესწავლისა, გადმოხატვისა და გადმოღებისათვის საშუალება გამოვძებნოთ.

რაკი აქამდის ჩვენს საზოგადოებას ქ-ლ ხელოვნების ძეგლების შეკეთებით თავი არ შეუწუხებია, ამიტომ, ამ მხრივ აუარებელი საქმეა გასაკეთებელი: პატარა მოხსენებაში ადამიანი ვერც კი ჩამოთვლის ყველა იმ ადგილებს, სადაც ქართველ ხელოვანთა და ქართულ საისტორიო საზოგადოებებმა მომავალში თავიანთი ნაყოფიერი მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ. ამგვარ წინამდებარე სამუშაოს სრული ნუსხის შედგენისათვის მეტი დროა საჭირო და შემდეგშიაც შეიძლება მოხერხდეს, მით უმეტეს, რომ ამისათვის, როგორც აღნიშნული მქონდა, ნაშთების ხელახალი მიმოხილვა დაგვჭირდება. მაინც და მაინც ზემომოყვანილი სამუშაო გეგმა ზამთრის დამდეგამდის, თუ მოჭარბებული არ არის, სრულებით სამყოფი იქნება.

ს. ხოვლე

1916. 14. VIII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუზა გვეტაძე
საზოგადოების ქუთაისის საქალაქო საბჭოს ინსტრუქტორი

# ძეგლთა თავდადებული მეგობარი

საქართველოს ულამაზესი ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლებს მრავალი სახელმოხვეჭილი მოამაგე და დამცველი ჰყავს. მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია საყოველთაოდ ცნობილი ქუთაისელი პედაგოგი, მხარეთმცოდნე, ძეგლთა უანგარო მეგობარი — პეტრე ჭაბუკიანი.

ვისაც ერთხელ მაინც უსაუბრია პეტრე ჭაბუკიანთან, მისთვის ადვილი გასაგებია, თუ რაოდენ დიდი პატრიოტია იგი თავისი სამშობლოსი და ხალხისა, თავდადებული თაყვანისმცემელია საქართველოსა თუ უცხოეთში ძვირფას მარგალიტებად მიმობნეული ისტორიული ძეგლებისა. მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრების დიდი ნაწილი შეგნებულად მოახმარა საქართველოს ბუნებისა და მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას.



მიუხედავად ხანდაზმულობისა, მუდამ ჩუმი და საქმიანი პეტრე ყველგან დადის, რაღაცას ეძებს, მისთვის დასვენება არ არსებობს. თვითონაც ხშირად უთქვამს: მე დაჯდომა და ერთ ადგილზე ყოფნა არ შემიძლიაო. სწორედ ამ მოუსვენრობისა და დაჟინებითი კვლევა-ძიების შედეგია ის, რომ მან დალუპვას გადაარჩინა ისტორიული მნიშვნელობის მრავალი ძეგლი და მოახდინა დიდი მეცნიერული ღირებულებების მქონე აღმოჩენები.

პეტრე ჭაბუკიანი მშობლიური მხარის თვალწარმტაცი ბუნებითა და მატერიალური კულტურის ძეგლებით ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე იყო გატაცებული. ეს გატაცება უფრო მეტად გაიზარდა და განმტკიცდა, როცა მან იურევის (ახლანდელი ტარტუ) უნივერსიტეტი დაამთავრა და სამოღვაწეოდ საქართველოში ჩამოვიდა. მას შემდეგ კი, რაც იგი ქუთაისის ისტორიული მუზეუმის უახლოესი თანამშრომელი და, შემდეგ ბუნებისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მეთვალყურე გახდა, წარსულის ძეგლებზე ზრუნვა მის ყოველდღიურ საქმიანობად გადაიქცა.

და მართლაც, პეტრე ჭაბუკიანი ხშირად მოგზაურობს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ძეგლთა დაცვითი მდგომარეობის შესასწავლად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ძეგლი ვინმეს მიერ დაზიანებულია, ან რაიმე ბოროტი მიზნითაა გამოყენებული, პეტრე საშინლად აღშფოთდება, უკეთურ საქმეს დაგმობს და დამნაშავეს სასტიკ პასუხს მოსთხოვს. მაგალითად, ერთხელ პეტრემ გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გო, რომ ზესტაფონის რაიონში, ტაბაკინის წმ. გიორგის ეკლესიაში (X—XI სს.) საღორე მოეწყვიათ. იგი მაშინვე გაემგზავრა იქ და გადაჭრით მოითხოვა ეკლესიის სასწრაფოდ განთავისუფლება. ამის შესახებ სიძველეთა დაცვის კომიტეტსაც კი მისწერა. მართლაც ეკლესია გაანთავისუფლეს. შემდეგ მას მცველიც დაუნიშნეს.

ნიკორწმინდის შესანიშნავი ეკლესია, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უბრწყინვალესი ძეგლთაგანია, 25—30 წლის წინათ იქაური სკოლის ხელმძღვანელობას საპირფარეშოდ გამოეყენებია. პეტრემ ასეთი დაუდევრობის გამო უსაყვედურა მათ და გრიგოლ თავდგირიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა ძეგლის წესრიგში მოყვანის საქმეს.

მისივე დაჟინებით იყო, რომ სიძველეთა დაცვის კომიტეტმა ნიკორწმინდას მცველი დაუნიშნა.

ზემოკრიხის (ამბროლაურის რაიონი) მთავარანგელოზის ეკლესიაში (X—XI სს.) გლეხებს იმდენი თივა შეეზიდათ, რომ კაცს შიგ შესვლა გაუჭირდებოდა. ამის დამნახველ პეტრეს გული შემოჰყრია, იმავე გრიგოლთან ერთად. მაშინვე კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან გაქცეულა. მისთვის აუხსნიათ ასეთი მოქმედების მავნებლობა და ეკლესია ორ დღეში გაუნთავისუფლებიათ. საქმე აქაც იმით დამთავრდა, რომ ამ ძეგლსაც პეტრეს ინიციატივით მცველი დაენიშნა.

პეტრე ჭაბუკიანს განსაკუთრებით დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბაგრატის ტაძრის დაცვის საქმეში. ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ, როგორც ცნობილია, ბაგრატის ტაძარი ნანგრევებს წარმოადგენდა და ისიც უმეტესად, მიწაში იყო ჩამარხული.

მახვილი თვალისა და გამჭრიახი გონების მქონე პეტრე დაკვირვებია რა ტაძრის ნანგრევების თავისებურ მდგომარეობას, უფიქრია, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა კედლები ასე პატარა ყოფილიყო. გულმოდგინე დაკვირვებისა და ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, 1933 წელს აღმოაჩინა მიწაში ჩამარხული სამრეკლოს კარები და ივარაუდა, რომ ტაძრის ძირითადი ნაწილიც მიწაში უნდა ყოფილიყო დამალული. შემდეგში, როცა ტაძრის ტერიტორიის გათხრა და ნაყარი მიწისაგან გაწმენდა მოხდა, სავსებით დადასტურდა პეტრე ჭაბუკიანის ვარაუდი.

ამის შემდეგ შესაძლებელი გახდა ტაძრის საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა და მისი გეგმის აღდგენა.

პეტრეს ინიციატივით ბაგრატის ტაძარი სათანადოდ იქნა დაცული და დღეს იგი თავისი შესანიშნავად რესტავრირებული კედლებით კვლავინდებურად ანცვიფრებს მნახველებს თავისი სიდიადით.

მსგავსი შემთხვევები პეტრეს ცხოვრებაში ძალზე მრავალია. აღნიშნული ფაქტები ცხადჰყოფენ, რომ საქმის სიყვარულის გამო მას უამრავ წინააღმდეგობათა გადალახვა უხდებოდა, მაგრამ მაინც ენერგიულად და დაუზარებლად იღწვოდა და იღწვის დღესაც.

პეტრე ჭაბუკიანის საქმიანობა მარტო ხუროთმოძღვრული ძეგლების დაცვითა და მოვლა-პატრონობით როდი შემოიფარგლება. ამასთან ერთად იგი არის არქეოლოგიური და ბუნებრივი ძეგლების აღმომჩენიც. საკმარისია ითქვას, რომ მან აღმოაჩინა მსოფლიო მნიშვნელობის ისეთი ძეგლები, როგორიცაა: თეთრამიწის ნეოლითელი ადამიანის ნამოსახლარი, სათაფლიის კარსტული გამოქვაბული და დინოზავრების ნაკვალევი.

1924 წელს პეტრე ჭაბუკიანმა ქუთაისის მახლობლად თეთრამიწის გორაზე საქართველოში პირველმა მიაკვლია ნეოლითელი ადამიანის ნამოსახლარს, რომელშიც აღმოჩნდა პირველყოფილი ადამიანის 5000-ზე მეტი კაჟისა და ქვის იარაღი.

მანვე იპოვნა სათაფლიის ფერდობზე ე. წ. „ნაციხვარზე" ნეოლითური ხანის მცირერიცხოვანი ნაშთები.

ამ აღმოჩენას უაღრესად დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ამით დადასტურდა, რომ ქუთაისსა და მის მიდამოებში არამარტო ზედაპალეოლითელი ადამიანი, არამედ მომდევნო ნეოლითის ხანის ადამიანი ცხოვრობდა.

ბოლოხანებში პეტრე ჭაბუკიანმა წყალტუბოს რაიონის სოფლებში: ხომულსა და მელოურში აღმოაჩინა ქვის ხანის ადამიანის უძველესი სადგომები, ხოლო კოლხეთის დაბლობზე ბრინჯაოს ხანის ნასოფლარი და 60-მდე ყორღანი.

1925 წლის გაზაფხულზე, როცა იგი ჩვეულებრივ ათვალიერებდა სათაფლიის მაღლობს, პირველყოფილი ადამიანის ნამოსახლარის მიკვლევის მიზნით, მოულოდნელად წააწყდა განსაცვიფრებელი სილამაზის კლასიკური ნიმუშის გამოქვაბულს, რომლის სიგრძე 600 მეტრს აღწევს. ამ გამოქვაბულს თავისი მნიშვნელობით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

პეტრე ჭაბუკიანის ინიციატივით აღნიშნულ გამოქვაბულს გაუკეთდა რკინის კარები, გაყვანილი იქნა ელექტრო სინათლე. გარდა ამისა, მისი მზრუნველობით სათაფლიაში დასავლეთ საქართველოს ფლორისათვის დამახასიათებელი ხის ჯიშებისაგან გააშენეს შესანიშნავი ტყე, რომელიც 600 ჰექტარს მოიცავს. შემოაკავეს იგი და სახელმწიფო ნაკრძალად გამოაცხადეს.

პეტრე ჭაბუკიანი ამითაც არ კმაყოფილდება. იგი კვლავ დაძაბულად განაგრძობს ძიებას და 1933 წელს სათაფლიის გამოქვაბულის დასავლეთ მხარეს ბუნებრივი გაშიშვლებული მერგელოვანი კირქვის შრეზე პოულობს გადაშენებული ცხოველების — დინოზავრების ნაკვალევს.

ამ აღმოჩენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მეცნიერებისათვის, ვინაიდან მანამდე გავრცელებული იყო შეხედულება, რომ თითქოს კავკასია ახალ ხმელეთს წარმოადგენდა და იქ არ შეიძლებოდა დინოზავრებს ეცხოვრათ, მაგრამ, როცა დინოზავრების ნაკვალევი აღმოჩნდა, ეს მცდარი დებულება უარყოფილი იქნა, ხოლო პეტრე ჭაბუკიანის აღმოჩენილი ნაკვალევი მეცნიერებაში მისი სახელით შევიდა.

პეტრე ჭაბუკიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ტყეების გაჩეხვისაგან გადარჩენის საქმეშიც. ჩვენში ერთხანს თავისუფლად ხდებოდა ტყეების გაჩეხვა-განადგურება. პეტრე ჭაბუკიანმა გაბედულად აღიმაღლა ხმა ამ მავნე ჩვევის წინააღმდეგ და აშკარა დაღუპვას გადაარჩინა 100 ჰექტარი ტყე ჯიმისტაროში, ძელქვების კორომი დათეშიძის გორაზე (ახლანდელი კულტურისა და დასვენების პარკის ტერიტორია ქუთაისში) და სხვა ადგილებში. მანვე მიაღებინა კანონი სათანადო ზემდგომ ორგანოებს საახალწლოდ წიწვიანი მცენარეების მოჭრის აკრძალვის შესახებ და ამით ფასდაუდებელი სამსახური გაუწია ტყეების შენარჩუნება-დაცვის საქმეს.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მის მიერ წამოყენებული მთელი რიგი წინადადებებისა, პრაქტიკულად უკვე განხორციელებულია. ამათგან საყურადღებოა არქიელის გორის ერთი ნაწილის არქეოლოგიურ ნაკრძალად გამოცხადება და ქუთაისელ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის მწვანე ყვავილაზე გადატანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეტრე ჭაბუკიანი ამავე დროს არის ქუთაისისა და მისი მიდამოების ბუნებრივი და მატერიალური კულტურის ძეგლების ისტორიის ღრმა მცოდნე და ერთ-ერთი შესანიშნავი კონსულტანტი. მისი კონსულტაციებით არაერთხელ აღფრთოვანებულან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან, თუ უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრები.

ძნელია ერთ პატარა წერილში წარმოადგინო ყოველივე ის, რაც ამ ღვაწლმოსილ კაცს გაუკეთებია. უკვე ჭაღარით დათოვლილს გული ისევ ახალგაზრდულად ერჩის, მხნეობაც არ დაუკარგავს, მომავალს იმედის თვალით შეჰყურებს და მთელი გატაცებით შეტრფის სიცოცხლეს, ხალხს, სამშობლოსა და მის უკვდავ ძეგლებს.

ირინე მიქელაძე
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

ბესარიონ ჯორბენაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოსწავლეები სიძველეთა სადარაჯოზე

საქართველოს უმდიდრესი მატერიალური კულტურის ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს ჩვენს მოზარდ თაობას. მათ საქმიანობას უკვე 25 წელია, რაც სათავეში უდგას თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტი.

ჯერ კიდევ 1941 წელს სასახლის ისტორიისა და გეოგრაფიის კაბინეტებთან ჩამოყალიბდა ნორჩ მხარეთმცოდნეთა წრეები. წლების მანძილზე სამხარეთმცოდ-



არქეოლოგიურ გათხრებზე ერწოში

ნეობის მუშაობა მოსწავლეთა შორის სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. 1958 წელს სასახლის ისტორიისა და გეოგრაფიის კაბინეტების ბაზაზე მოსწავლეებმა შექმნეს სამხარეთმცოდნეობო მუზეუმი. ამ მუზეუმის მაგალითზე რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონების სკოლებთან ჩამოყალიბდა სასკოლო მუზეუმები. 1962 წელს კი სასახლის მუზეუმთან შეიქმნა ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური კლუბი, რომელიც აერთიანებს თბილისის და საქართველოს რაიონების 1000-მდე მოსწავლეს. კლუბთან ჩამოყალიბებულია ნორჩ არქეოლოგთა, ეთნო-

გრაფთა, ხელოვნებათმცოდნეთა, მემატიანეთა, გეოგრაფთა და გეოლოგთა სექციები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ გამოცდილი პედაგოგები.

კლუბის საპატიო თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. ჩიტაია.

კლუბს ჰყავს თავისი თვითმმართველობა მოსწავლეთა საბჭოს სახით და უფროს მეგობართა საბჭო, რომლის საპატიო წევრები არიან აკადემიკოსები ა. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, გ. ძოწენიძე, თ. დავითაია, გ. მელიქიშვილი, ბ. რიბაკოვი, ს. ტოლსტოვი, პროფესორები: ვ. ბერიძე, ა. აფაქიძე, შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, ირ. ციციშვილი, პ. ზაქარაია, მ. გერასიმოვი, მეცნიერებათა კანდიდატები: გ. ლომთათიძე, ალ. ჯავახიშვილი, კ. ჩოლოყაშვილი, ნ. უგრელიძე, ცნობილი ნორვეგიელი მოგზაური-ეთნოგრაფი ტურ ჰეიერდალი და სხვები.

ნორჩი მხარეთმცოდნეები ქალაქად თუ სოფლად მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლისა და დაცვის საქმეში, მონაწილეობენ არქეოლოგიურ გათხრებში, სწავლობენ მოსახლეობის ეთნოგრაფიულ ყოფას.



ნორჩ ეთნოგრაფები ეცნობიან სვანური ქუდის დამზადების პროცესს

თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის არსებობის 25 წლის მანძილზე ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა ჩაატარეს ოცი საველე კომპლექსური ექსპედიცია მეცნიერების ხელმძღვანელობით და რამდენიმე ათეული ექსკურსია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

მოსწავლეებმა აღმოაჩინეს ორბეთის მინის საწარმო და ბეთანიის სამაროვანი და მონაწილეობა მიიღეს მათ გათხრაში. ექსპედიციებში მოსწავლეები ეცნობიან არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკას, სწავლობენ ხუროთმოძღვრულ ძეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს, აგროვებენ ეთნოგრაფიულ და სხვა კოლექციებს თავისი მუზეუმისათვის.

მუზეუმში თავმოყრილია ხუროთმოძღვრული ძეგლების ფოტოები, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ექსპონატები, გათხრების დროს მოპოვებული მასალების ნიმუშები და ბავშვების ხელით დამზადებული სხვადასხვა საგნები.

ნორჩები საველე მუშაობის დროს არა მარტო სწავლობენ წარსულის ნაშთებს, არამედ ადგილებზე, შეძლებისდაგვარად ამოწმებენ ძეგლების დღევანდელ მდგომარეობას და თვითოეული სოფლისა და დაბის მოსახლეობას მოუწოდებენ მათ ზრუნვა-მოვლაზე.

1964 წელს დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში ნორჩებმა დაათვალიერეს ახალ სამრეწველო ქალაქთან — მადნეულთან მდებარე კაზრეთის ეკლესია. ჟამთა სიავეს გამოვლილი ეს ძეგლი, მადნეულის მშენებლობასთან დაკავშირებით ხშირ აფეთქებების გამო ზიანდებოდა. ბავშვებმა საუბარი ჩაუტარეს მშენებლებს ამ ძეგლის მნიშვნელობაზე და სთხოვეს, მისთვის ყურადღება მიექციათ.

ერწო-თიანეთში ყოფნის დროს მოსწავლეები დაინტერესდნენ ს. სიონთ-გორთან მდებარე არჩილის მონასტრის კომპლექსით, რომელიც მეტი ყურადღების მიქცევას მოითხოვს. ამის შესახებ, მათ თავისი გულისწყრომა თიანეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში გამოთქვეს.

